ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 14 თებერვალი, 2018 | №37 (7582) | ფასი: 50 თეთრი

## მიხეილ რამიშვილი: „სასულიერო პირი მომიგზავნეს, მამა გიორგიზე ზემოქმედება რომ მომეხდინა“



გვ.3

13 თებერვლიდან

ჯონ სტაინბეკი

კონსერვის რიგი




ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

# „თუ სააკაშვილს საქართველოში გამოუშვებთ, ჩვენ თვითმფრინავს დაჯდომის უფლებას არ მივცემთ“

## საქართველოს ხელისუფლებამ დაკავებული სააკაშვილის მიღებაზე უარი თქვა

გვ.3



EPA/UPG

## „სააკაშვილი უკრაინაში რუმინეთიდან კატერით შესვლას აპირებს“

მირიან მირიანაშვილი: „კიევში სააკაშვილი თვეში 200.000 დოლარს ხარჯავდა“

გვ.2



## კონსტანტინე გამსახურდია: „აქამდე დასახელებულ კანდიდატებს შორის ყველაზე ლოგიკური ივანიშვილი მგონია“

გვ.4



## დავით ლორთქიფანიძე: „გიგი უგულავას ვანისა და ხონის შუალედურ არჩევნებში შანსი არ აქვს“

გვ.4



### სამართალი

გვ.7

ლანჩხუთში საბავშვო ბაღიდან საკვები პროდუქტები მოიპარეს



გახშირებული ქურდობები ოზურგეთში — ლიხაურში რამდენიმე საცხოვრებელი სახლი გაქურდეს



შეჩერდება თუ არა ატენის ქუჩაზე მიმდინარე მრავალსართულიანი კორპუსის მშენებლობა




### ეკონომიკა

გვ.6



რომელი ხეები ვერ გაიხარებს თბილისში?



200 ჰექტარი ტყე თუ 1.219 გიგავატ/სთ ელექტროენერგია ყოველწლიურად



ISSN 1987-9385

6 ბანკებში იპოთეკით 15 მლრდ ლარის უძრავი ქონება დაიტვირთა

2 „სააკაშვილის სიცოცხლე პოლონეთში დიდ საფრთხეშია!“

6 სპეციფიკური ნარჩენების მართვა სავალდებულო ხდება

4 ალეკო ელისაშვილი: „ტაქსებით დაწყება იგივეა, რაც სახლის შენება სახურავიდან“

# „სააკაშვილი უკრაინაში რუმინეთიდან კატერით შესვლას აპირებს“

## მირიან მირიანაშვილი: „კიევში სააკაშვილი თვეში 200.000 დოლარს ხარჯავდა“

მარიამ მჭედლიშვილი

საქართველოს მესამე პრეზიდენტის პოლონეთში გაძევების თაობაზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დეპუტატს, საქართველოს გადარჩენის მოძრაობის ლიდერ მირიან მირიანაშვილს

**მირიან მირიანაშვილი:**

— დასრულდა უკრაინაში სააკაშვილის თავგადასავლების მორიგი ეპოპეა. მართალია, ის სახალხოდ რიხიანად ლაპარაკობს, მაგრამ უკრაინის პოლიტიკაში და სხვაგანაც ველარაფერს გააკეთებს. ვარშავიდან ის ესაუბრება თავის შტაბს კიევში და უკრაინაში დაბრუნების გეგმებს აცნობს. ეს გეგმები არა მხოლოდ არარეალისტური, არამედ, კომიკურიც არის. განიხილება კატერით რუმინეთიდან უკრაინაში შესვლის ვარიანტიც კი. სააკაშვილის საუბრები თავის გარემოცვასთან თაგვების კრებაა. მათ განზრახვებს შესრულება არ უწერია.

***— ინტერვიუში გითქვამთ, რომ დასავლეთისათვის ნაკლები თავსატეხი იქნებოდა სააკაშვილი პოლონეთში.***

— პოლონეთი საუკეთესო ადგილია ბევრი თვალსაზრისით, მათ შორის, სააკაშვილის კონტროლის მხრივ.

***— მას აშშ გააკონტროლებს?***

— ნურავინ იფიქრებს, რომ სააკაშვილი უკრაინიდან პოროშენკოს ახირებით გააძევეს. ეს მოხდა ამერიკელებთან შეთანხმებით. აშშ-ის ელჩი უკრაინაში, ქალბატონი იოვანოვიჩი, საკმაოდ აქტიური იყო ბოლო თვეების განმავლობაში. იგი საუკეთესოდ ასრულებდა დაკისრებულ მისიას სააკაშვილთან დაკავშირებით. ელჩს უხდებოდა შეხვედრების, პრესკონფერენციების გამართვა იმის ასახსნელად, რომ სააკაშვილის ამა თუ იმ აქტივობას არანაირი კავშირი არ გააჩნია ვაშინგტონთან.

***— საქართველოში სააკაშვილის პარტიელები ისევ ირწმუნებიან, რომ სააკაშვილს პუტინი და პოროშენკო ერთად ებრძვიან.***

— ამ განცხადებებს უკრაინაში სააკაშვილის მონაწილეობით განვითარებული მოვლენები აბათილებს. მისი მთელი ვოიაჟი უკრაინაში მიმართული იყო დესტაბილიზაციისკენ. მას რომ უკრაინის პოლიტიკურ ელიტასთან კომუნიკაციის აღდგენა-დამყარება სდომებოდა, სხვანაირად მოიქცეოდა.

***— უკრაინაში დესტაბილიზაცია რუსეთის ინტერესებშია?***

— რასაკვირველია, მით უმეტეს მაშინ, როცა ახლოვდება საპრეზიდენტო არჩევნები და პუტინი ამომრჩევლის წინაშე კუნთებს ათამაშებს. აქსიომატურია, რომ პუტინი უკრაინაში სტაბილურობას არღვევდა სააკაშვილის ხელით. ბოლო თვეების განმავლობაში სააკაშვილი აქტუალური იყო რუსეთის მედიაში. დასავლეთი მას იგნორირებას უკეთებდა. ვისაც არ სჯერა, რომ სააკაშვილი ყოველთვის რუსეთის მითითებებს ასრულებდა, იმან ბოლოდროინდელი მოვლენები უნდა გააანალიზოს. ვიღაც დარწმუნებულია, რომ სააკაშვილს ანგარიში გაუსწორა პოროშენკომ. რეალობა უფრო რთულია და ასეთ უმარტივეს გათვლას არ მოიცავს. როგორ ჰიბრიდულადაც მოქმედებდა რუსეთი, ისე იმოქმედეს მისმა მოწინააღმდეგეებმა. თუ რუსეთი სააკაშვილის საშუალებით ოპერირებდა, ახლა ჰიბრიდულად იმოქმედეს ამერიკელებმა. ეს არ ყოფილა პირადად პოროშენკოს შურისძიება, როგორც ამას სააკაშვილი ასაღებს და თან მას ათასგვარ შეურაცხყოფას აყენებს.

***— სააკაშვილის მომხრეებისათვის ის კორუფციასთან ერთადერთი მებრძოლია.***

— ოდესის ყოფილი გუბერნატორი ისევე „შეებრძოლებოდა“ უკრაინაში კორუფციას, როგორც საქართველოში ებრძოდა. აქ სააკაშვილმა ქონება წაართვა უცხოებს და დაურიგა თავისიანებს. სხვებს ეძახის კორუმპირებულებს, მაშინ როცა კიევში კოლოსალურ თანხებს ხარჯავდა საკუთარი თავისა და პირადი გარემოცვის შესანახად. ის მუდმივად გადაადგილდებოდა 30-კაციან ჯგუფთან ერთად. აქედან 10-15 პირი დაცვა იყო. რესტორნებში კოლექტიურად კვებასა და ქირასაც თუ მივათვლით, სააკაშვილი ამ მიზნებისთვის ხარჯავდა თვეში მინიმუმ 200.000 დოლარს. ეს უკრაინაშიც აქვთ დაანგარიშებული.

მისი ანტიკორუფციული განცხადებები ყალბი და ღიმილის მომგვრელია. განსაკუთრებით სასაცილოა მისგან იმის მოსმენა, რომ დედა და ბებია ინახავენ. პარტიის ფუნქციონირებას ცალკე ფული უნდოდა.

***— სააკაშვილს ფინანსების პრობლემა არ ექმნება?***

— ამ საკითხზე გადასვლას ვაპირებდი. სააკაშვილის შავი ფული უკრაინაში, აზერბაიჯანსა და თურქეთშია გადანაწილებული და შენახული. უკრაინაში მის ფინანსებს მძიმე დღე დაუდგა. უკრაინაში ის ამ კუთხითაც შეავიწროვეს. საინტერესოა მისი აზერბაიჯანული თანხების ამბავი. ექსპრეზიდენტი ამ მიმართულებითაც ხიფათში ვარდება. ეს დაკავშირებულია ახალ ამერიკულ სანქციებთან, პუტინის გარემოცვის სიასთან.

***— „კრემლის სიასთან“?***

— „კრემლის სიაში“ არ შეიყვანეს ეთნიკური ელიტები. ერთადერთი, ვინც „კრემლის სიაში“ მოახვედრეს, აზერბაიჯანელი არას აგალაროვია. იგი არის ილჰამ ალიევის ყოფილი მძახალი. მათი შვილები გაიყარნენ, მაგრამ ალიევები და აგალაროვები ერთმანეთთან კარგ ურთიერთობას ინარჩუნებენ. აგალაროვი დაკავშირებულია სააკაშვილთან და მის ფინანსებთან. ახლა იგი დარტყმის ქვეშ მოექცა.

***— სააკაშვილისთვისაც სარისკოა აგალაროვის მიმართ სანქციების შესაძლო ამოქმედება?***

— ეს უეჭველია. ამ ყველაფერს მოჰყვება ფინანსური ნაკადების შემცირება ან შეწყვეტა საქართველოში. ნაციონალურ მოძრაობას უფულობა ემუქრება. ამ პარტიის აქტივი, დიდწილად, კარგი დაფინანსების გამო დგას ექსპრეზიდენტის გვერდით. მას სააკაშვილის გეგმების ნაკლებად სჯერა. უსახსრობის გამო ეს ხალხი დაიშლება და სააკაშვილს გამოეცლება საყრდენი. მისი ფანების რაოდენობა საკმარისი არ იქნება. სააკაშვილის ბოლოდროინდელი ყველა აქტივობა განწირული იყო. ის გადაიქცა მასხარად პოსტსაბჭოთა სივრცეში. სააკაშვილმა ფატალური მარცხი იწვნია.

***— საქართველოში დეპორტაციას გადაურჩა.***

— როცა ის რესტორანში აიყვანეს, აეროპორტისკენ მიმავალ გზაზე მიკროავტობუსში სპეცრაზმელები გაეხუმრნენ, თბილისში მიემგზავრებიო. ამაზე ექსპრეზიდენტს ისტერიკა დაემართა. თვითმფრინავში შეიტყო, რომ ვარშავაში მიფრინავდა და ისე გაიხარა, ნირვანაში ჩავარდა. პოლიტიკურად ის დამთავრებულია.

სააკაშვილის მომხრეები საქართველოში ამას ცოტა ფხიზლად და კრეატიულად თუ არ მიუდგებიან, თავს მოიტყუებენ. სააკაშვილი, რომელიც ყველგან პრობლემებს ქმნის, კონტროლის ქვეშ იქნება და ვერ იაქტიურებს. მადლობა უნდა თქვას, რომ მისი აყვანის ოპერაცია ფიზიკური ტრავმების გარეშე დამთავრდა.





**როცა ის რესტორანში აიყვანეს, აეროპორტისკენ მიმავალ გზაზე მიკროავტობუსში სპეცრაზმელები გაეხუმრნენ, თბილისში მიემგზავრებიო. ამაზე ექსპრეზიდენტს ისტერიკა დაემართა. თვითმფრინავში შეიტყო, რომ ვარშავაში მიფრინავდა და ისე გაიხარა, ნირვანაში ჩავარდა**

# „სააკაშვილის სიცოცხლე პოლონეთში დიდ საფრთხეშია!“



ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის" კითხვებს ექსპერტი, ფსიქოლოგი რამაზ საყვარელიძე პასუხობს.**

***— ბატონო რამაზ, სააკაშვილის უკრაინიდან გაძევების თემას დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა. როგორია თქვენი შეფასებები იმ მოვლენებთან დაკავშირებით, რომლებიც მიხეილ სააკაშვილის ირგვლივ განვითარდა?***

— მე არ ველოდებოდი, რომ მას დააპატიმრებდნენ უკრაინელები და გადმოსცემდნენ საქართველოს დასაპატიმრებლად.

***— რატომ ფიქრობდით ასე?***

— სააკაშვილი დასავლეთის ბევრ პოლიტიკოსთან არის ურთიერთობებში ჩართული, ხშირად — ბუნდოვან ურთიერთობებშიც. გაგახსენებთ გავრცელებულ სატელეფონო საუბრებს მას და მაკკეინს შორის, სადაც იარაღით ვაჭრობაზე იყო საუბარი. ანალოგიური კავშირი ალბათ ბევრთან აქვს სააკაშვილს და ამიტომ დასავლეთის პოლიტიკოსები არ იქნებიან მისი დაჭერისა და გამოძიების რეჟიმში, მისი დაკითხვით დაინტერესებული. მისი დაკითხვით ასევე არ იქნება დაინტერესებული რუსეთიც.

***— რატომ რუსეთი? მასაც ეშინია სააკაშვილის აღიარებების?***

— როცა ადამიანმა უფრო მეტი იცის, ვიდრე საჭიროა, მას ადვილად უსწორდებიან ხოლმე. სტალინი როგორც ამბობდა: არ არის ადამიანი, არ არის პრობლემა. რუსეთი იმიტომ ვახსენე, რომ რუსეთს სჩვევია ასეთი სტილი, თან რუსეთს აწყობდა...

***— სააკაშვილის ლიკვიდაცია?***

— დიახ და ეს დაბრალდებოდა პოროშენკოს. ამიტომ დიდი ეჭვი მაქვს, რომ პოროშენკო თვალისჩინივით უფრთხილდებოდა ამ ხნის განმავლობაში სააკაშვილს, რომ არაფერი მოსვლოდა. მის ტერიტორიაზე სააკაშვილს რამე რომ მოსვლოდა, ყველა შემთხვევაში ატყდებოდა ხმაური მისი სახელის გარშემო. ალბათ პოროშენკოსაც ერთი სული ჰქონდა, რომ ამ ტერიტორიას სააკაშვილი გასცლოდა. მისი დაკავება აგრეთვე სკანდალებთან იქნებოდა დაკავშირებული. შესაბამისად, სკანდალებთან იქნებოდა დაკავშირებული მისი საქართველოში დაკავებაც.

***— ჩვენი ხელისუფლების ინტერესებში არ შედიოდა სააკაშვილის ქართულ ციხეში ჯდომა?***

— პოლიტიკური თვალსაზრისით ეს არ შედის ამ ხელისუფლების ინტერესებში. სამართლიანობის აღდგენის თვალსაზრისით შეიძლება ეს ინტერესი იყოს, მაგრამ სააკაშვილი იმდენად სკანდალური ფიგურაა და სკანდალის იმდენად დიდი შესაძლებლობები გააჩნია, რომ ასეთი თავის ატკივება არავის ინტერესში არ არის, მათ შორის საქართველოშიც. დღეს საქართველოსა და უკრაინას ერთი და იგივე პარტნიორები ჰყავთ. დიდი ეჭვი მაქვს, თვითონ პარტნიორების სურვილი იქნებოდა, რომ სააკაშვილი არ იყოს არც ერთ და არც მეორე ციხეში.

***— როგორც ეშმაკს ჯვრის, ისე ეშინია საქართველოს ხელისუფლებას ჩემიო, აცხადებს სააკაშვილი. ეს მართლაც შიშია თუ საქართველოს ხელისუფლება აუტკივარი თავის ატკივებას მოერიდა?***

— აუტკივარი თავის ატკივება იქნებოდა, ეს ცხადია, ხოლო თუ შიშია, არის იმის შიში, რომ სააკაშვილი სკანდალური ფიგურაა. ბოლო პერიოდის და 2012 წლის არჩევნებმა აჩვენა, რომ შეიძლება ციხიდან ხალხმა გაათავისუფლოს, ოღონდ მერე ის ხალხი რას უზამს სააკაშვილს, ძნელი წარმოსადგენია.

***— ჩემი მხარდამჭერები ერთ დღეში დაამხობენ საქართველოს ხელისუფლებასო. რამდენად ჰყავს მას ასეთი ძლიერი მხარდამჭერთა არმია?***

— მისი მხარდამჭერთა არმია დაახლოებით 10%-იანია, სამაგიეროდ, მისი პრინციპული წინააღმდეგი 80-90%-ია. ასე რომ, ის თუ ციხიდან ვინმემ გამოუშვა, მერე ქუჩაში შეიძლება ის 80% გამოვიდეს და სააკაშვილიანად წალეკოს მისი მხარდამჭერები.

***— პოლიტიკურ თავშესაფარს არ მოვითხოვო, აცხადებს სააკაშვილი და, როგორ ფიქრობთ, აქვს ახალი სამოქმედო გეგმა?***

— სააკაშვილი ჭკვიანია და მიხვდება, რომ მისი უახლოესი მიზანი არის ის, რომ გადარჩეს. უკრაინის ტერიტორიაზე მისი სიცოცხლის ხელყოფა არ აწყობდა უკრაინას, რადგან ამას მიაბამდნენ პოროშენკოს ინტერესს. საქართველოს ტერიტორიაზე მისი სიცოცხლის ხელყოფა არ აწყობს საქართველოს ხელისუფლებას, ამას მიაბამენ პოლიტიკური დევნის თემას. აი, რაც შეეხება პოლონეთის ტერიტორიას, იქ მის სახელთან არ არის დაკავშირებული პოლიტიკური პროცესები, ამიტომ იქ მისი სიცოცხლე გაცილებით დიდ საფრთხეშია!

დღეისთვის მისი ამოცანა არის ის, რომ, უპირველეს ყოვლისა, გაინაღდოს უსაფრთხოება. აი, შემდეგ უკვე იქნება ამოცანა იმისა, რომ იპოვოს თავისი ადგილი ევროპულ ქვეყნების პოლიტიკურ ცხოვრებაში.

***— ანუ თქვენ ფიქრობთ, რომ სააკაშვილისთვის პოლონეთში დარჩენა ხიფათის შემცველია?***

— რა თქმა უნდა, ისევე, როგორც ყველა იმ ქვეყანაში ყოფნა, რომელთა ხელისუფლებასაც ვერ დააბრალებ სააკაშვილის მიმართ აგრესიას.

***— უკრაინაში აღარ შეუშვებენ, საქართველოს არ გადმოსცეს. რომელ ქვეყანაში უნდა წავიდეს სააკაშვილი?***

— ეს გააჩნია მისი მოლაპარაკებების შედეგებსა და სტილს. მან შეიძლება აიღოს კურსი და დაემუქროს პარტნიორებს, ყველაფერს ვიტყვი, თუ არ მიშველითო. ეს ვარიანტი მისთვის უფრო სახიფათო იქნება, შესაძლოა, აიღოს უფრო ბალანსირებული სტილი, რომელიც აღარ გააღიზიანებს მის პარტნიორებს და, შესაბამისად, თავადაც უსაფრთხოდ იგრძნობს თავს. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ მოიქცევა და რა კურსს აირჩევს.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# მიხეილ რამიშვილი: „სასულიერო პირი მომიგზავნეს, მამა გიორგიზე ზემოქმედება რომ მომეხდინა“

შორენა მარსაგიშვილი

**ციანიდის საქმე, სავარაუდოდ, სტრასბურამდე მივა. მამა გიორგი მამალაძის ადვოკატები ამბობენ, რომ მათ, უბრალოდ, სხვა გზა აღარ რჩებათ, მიაჩნიათ, რომ საქართველოში სამართალი გარდაცვლილია. ამაში ისინი გუშინ, 13 თებერვალს, საბოლოოდ დარწმუნდნენ.**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ გუშინ ციანიდის საქმეზე თავისი განაჩენი გამოაცხადა და დეკანოზი გიორგი მამალაძე დამნაშავედ ცნო.

კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და დეკანოზი გიორგი მამალაძე შურისძიების მოტივით განზრახ მკვლელობის მომზადებაში დამნაშავედ ცნო, ასევე გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა იარაღის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალში.

მკვლელობის მომზადებისთვის დეკანოზს სასამართლომ 9-წლიანი პატიმრობა შეუფარდა, ხოლო იარაღის უკანონო შეძენა-შენახვისთვის 2 წლით თავისუფლების აღკვეთა აქვს მისჯილი.

სასჯელის შთანთქმის პრინციპით უფრო მაღალმა სასჯელმა შთანთქა დაბალი სასჯელი და საბოლოოდ გიორგი მამალაძეს 9 წლით თავისუფლების აღკვეთა აქვს შეფარდებული.

დაცვის მხარესა და დეკანოზის ადვოკატებს დიდი მოლოდინები არ ჰქონდათ, მაგრამ მაინც სჯეროდათ, რომ სასამართლო შეეცდებოდა მაინც სიმართლის დანახვას.

სააპელაციო სასამართლოზე წარმოთქმულ საბოლოო სიტყვაში დეკანოზმა რამდენიმე სკანდალური განცხადება გააკეთა.

მან გაიხსენა, როგორ აიძულებდნენ პროკურატურის წარმომადგენლები მეუფე დიმიტრისა და პატრიარქის დაცვის ყოფილი უფროსის, სოსო ოხანაშვილის, წინააღმდეგ ჩვენების მიცემას. მამა გიორგიმ ისიც თქვა, რომ ცოტა ხნის წინ მას ჩუმად ყოფნის სანაცვლოდ გარკვეული პირები ციხიდან გამოყვანას შეჰპირდნენ.

დეკანოზს ამ პირის ვინაობა არ დაუკონკრეტებია. ადვოკატები მხოლოდ იმას ამბობენ, რომ პირები, რომლებიც მამა გიორგის გათავისუფლებას დაჰპირდნენ, პროკურატურის წარმომადგენლები არ არიან.

დეკანოზის სკანდალურმა განცხადებამ სააპელაციო სასამართლოზე ვერ იმოქმედა.

მამა გიორგის ახლობლებს იმედი ჰქონდათ, რომ მეუფე იაკობის ბოლო განცხადება რაღაცას შეცვლიდა.

პატრიარქის ქორეპისკოპოსმა 10 თებერვალს რუსთავი 2-თან საუბარში განაცხადა, რომ მას მამა გიორგისთვის წაყენებული ბრალის არ სჯერა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ რამდენიმე თვით ადრე მეუფე იაკობმა ციანიდის საქმის საკუთარი ძალებით გამოძიების პირობა დადო.

სააპელაციო სასამართლოზე დიდ იმედებს არ ამყარებდა ადვოკატი მიხეილ რამიშვილი. რატომ არა აქვს მას ქართული მართლმსაჯულების იმედი, რას ითხოვდა მისგან სამოქალაქო სამოსში გამოწყობილი სასულიერო პირი, რის სანაცვლოდ ჰპირდებოდნენ მამა გიორგის ციხიდან გამოყვანას? – ამის შესახებ მიხეილ რამიშვილი „ახალ თაობას“ ესაუბრება.

– თქვენ თავიდანვე ამბობდით, რომ სააპელაციო სასამართლოს დიდი იმედი არ გქონდათ. 10 თებერვალს მეუფე იაკობმა გააკეთა განცხადება, რომ მას იმ ბრალდებების არ სჯერა, რომლებიც მამა გიორგის აქვს წაყენებული. ამან გააჩინა ერთგვარი მოლოდინი, რომ სააპელაციო დეკანოზის მიმართ გამამართლებელ განაჩენს გამოიტანდა.

– მეუფე იაკობის განცხადება არაფერს შეცვლიდა. ყველაფერი ისე წარიმართა, როგორც პროკურატურამ დაგეგმა. ქორეპისკოპოსმა ეს განცხადება თავისი თავის წარმოსაჩენად გააკეთა. სააპელაციო სასამართლო რომ ამგვარ განაჩენს გამოიტანდა, თავიდანვე ნათელი იყო და მას ვერაფერი შეცვლიდა.

ქორეპისკოპოსის ბოლო განცხადებას მე დიდ მნიშვნელობას არ მივანიჭებდი, მით უმეტეს, რომ არაერთხელ მაქვს მოსმენილი მისი ქადაგებები, სადაც ის დეკანოზს მონანიებისკენ მოუწოდებდა, ამბობდა, მოინანიოს და გვერდში დავუდგებითო. მონანიება, მოგეხსენებათ, დანაშაულის აღიარებას ნიშნავს.

საპატრიარქომ, სასამართლომ და პროკურატურამ ძალიან კარგად იციან, რაშიც არის საქმე. ყველა ინსტიტუტმა იცის, რომ მამა გიორგი უდანაშაულოა. უბრალოდ, ეს ყველაფერი კონკრეტული მიზნით გააკეთეს და ახლა უკანდახევა აღარ სურთ.

***– თავად სააპელაციოს გადაწყვეტილებაზე რას იტყვით?***

– რა უნდა ვთქვა? 13 თებერვალს დადასტურდა, რომ საქართველოში სასამართლო გარდაიცვალა. ქვეყანაში არ არიან დამოუკიდებელი მოსამართლეები. ისინი გადაქცეული არიან ნოტარიუსებად და ყველაფერს ისე ამტკიცებენ, რომ არ ფიქრობენ, ამას რა შედეგი მოჰყვება. ამის გამო ევროპული სასამართლოს ბევრი გადაწყვეტილება შევა ქართული მართლმსაჯულების ისტორიაში სამარცხვინო ლაქად.

***– თქვენც ხომ სტრასბურში აპირებთ წასვლას? თავიდანვე ამბობდით, რომ სიმართლის დადგენას ევროსასამართლოში ეცდებოდით.***

– ასეც ვაპირებთ. ჩვენი აზრით, სამართალს მხოლოდ ევროპულ სასამართლოში ვიპოვით. ციანიდის საქმე ქართული მართლმსაჯულების ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე სამარცხვინო საქმე იქნება.

***– იქ წასვლამდე უზენაეს სასამართლოს უნდა მიმართოთ. არის თუ არა იმის ალბათობა, რომ აქ მამა გიორგი გამართლდეს?***

– არ მჯერა, რომ უზენაესი სასამართლო მამა გიორგის გაამართლებს, მაგრამ იძულებული ვართ, სააპელაციოს გადაწყვეტილება უზენაესში გავასაჩივროთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, სტრასბურში ვერ წავალთ.



სააპელაციო სასამართლომ დეკანოზი გიორგი მამალაძე დამნაშავედ ცნო

მე არც სააპელაციოსი მჯეროდა და არც უზენაესის მჯერა. ამის მიუხედავად, ხმამაღლა ვამბობდი, რომ მათი იმედი მაქვს. ამ განცხადებას იმიტომ ვაკეთებდი, რომ მათთვის გონიერებისკენ მიმეთითებინა.

არის ძალიან ბევრი ნიუანსი, რაც მაფიქრებინებს, რომ უზენაესი სააპელაციოს გადაწყვეტილებას ძალაში დატოვებს.

***– რა ნიუანსებზე საუბრობთ?***

– ვამბობდი და ახლაც ვიტყვი, რომ როცა პირადი ინტერესი არსებობს, სამართალი ვერასოდეს იზეიმებს და ყველაფერი კეთდება, რათა გადაწყვეტილება ხელისუფლების ინტერესებს მოერგოს. ეს სააპელაციომაც დაადასტურა და მან პროკურატურას უკანონო მტკიცებულებები დაუკანონა. უზენაესიც იმავეს გააკეთებს.

ამ დროს საგამოძიებო უწყება გამოდის და ამბობს, ჩვენ თანამზრახველების დასადგენად პარალელურ რეჟიმში ვმუშაობთ, ასევე ვცდილობთ იმის დადგენას, ვისგან შეიძინა მამა გიორგიმ ციანიდიო.

***– ამის დასადგენად ერთი წელი საკმარისი არ იყო?***

– ამას ვერასოდეს დაადგენენ – მამა გიორგის არც ციანიდი შეუძენია, არც თანამზრახველები ჰყოლია და არც ვინმეს მოკვლას გეგმავდა. აქ, იცით, რაზეა საუბარი? არ უნდათ თავიანთი გაფუჭებულის აღიარება. ის, რაც მათ გააკეთეს, დიდი სიბინძურე და უსამართლობაა.

***– რამდენიმე თვის წინ სინოდის წევრებმა განაცხადეს, რომ საპატრიარქოში შეიქმნებოდა კომისია, რომელიც ციანიდის საქმეს შეისწავლიდა. ამ მიმართულებით რამე სიახლე ხომ არ არის?***

– სინოდისგან არაფერი ისმის. დარწმუნებული ვარ, ისინი არაფრის გამოძიებას არ აპირებენ.

***– თუ არა აპირებენ, რატომ გააკეთეს ასეთი განცხადება?***

– განცხადება ხალხის გასაგონად გააკეთეს, რომ თითქოს ისინიც რაღაცას სწავლობენ. საზოგადოების უდიდეს ნაწილს არ სჯერა, რომ მამა გიორგი ვინმეს მოკვლას აპირებდა.

ალბათ ყველას გახსოვთ, რა რიხით გამოდიოდნენ ქვეყნის პირველი პირები და ამბობდნენ, რომ მაღალი იერარქიის სასულიერო პირი გადაარჩინეს. ამ განცხადებებს იმ დროს აკეთებდნენ, როცა მამა გიორგის ბრალი შორენა თეთრუაშვილის მკვლელობის მომზადების მცდელობისთვის ჰქონდა წაყენებული. შორენა, რამდენადაც ვიცით, არ არის სასულიერო პირი, მით უმეტეს – მაღალი იერარქიის. გადარჩენა არც მას სჭირდებოდა, რადგან არც მასზე იგეგმებოდა რამე თავდასხმა. ეს ყველაფერი ხალხის მოსატყუებლად გაკეთდა.

***– თავის ბოლო სიტყვაში მამა გიორგიმ თქვა, რომ მას კონკრეტული პირები, რომლებიც პროკურატურას არ წარმოადგენენ, ციხიდან გამოყვანას ჰპირდებოდნენ, თუ წყნარად იქნებოდა. ამ პირების ვინაობას, ვიცი, არ დაასახელებთ, მაგრამ ის გვითხარით, კონკრეტულად რას ითხოვდნენ მისგან?***

– წყნარად ყოფნას. მამა გიორგის არანაირი განცხადება არ უნდა გაეკეთებინა და ჩუმად ყოფილიყო.

მანამდე მასთან მოლაპარაკებებს პროკურატურის წარმომადგენლები აწარმოებდნენ. ისინი პირდაპირ ეუბნებოდნენ დეკანოზს, რომ თუ მეუფე დიმიტრისა და სოსო ოხანაშვილის წინააღმდეგ ჩვენებას მისცემდა, საპროცესოს გაუფორმებდნენ და გამოუშვებდნენ.

მეტსაც გეტყვით, გარკვეულმა ძალებმა ჩემთანაც მოაგზავნეს სამოქალაქო ფორმაში გამოწყობილი სასუ-



ლიერო პირი. მან ჩემგან მოითხოვა რაღაცები.

***– შეგიძლიათ გვითხრათ, რას ითხოვდა?***

– მთხოვდა, მამა გიორგიზე რაღაც ზემოქმედება მომეხდინა.

***– რა მიზნით უნდა მოგეხდინათ ზემოქმედება?***

– დეკანოზს ვილაცის სასარგებლოდ უნდა გაეკეთებინა განცხადებები. საუბრის დეტალებს არ დავაკონკრეტებ. ამ ადამიანს, უბრალოდ, ვუთხარი, რომ მისამართი შეეშალა.

***– ამის მერე ის ადამიანი აღარ შეგხმიანებიათ?***

– არა. მას გარკვევით ვუთხარი, რომ მისამართი შეეშალა.

* * *

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით ბოლომდე კმაყოფილი არც პროკურატურაა. ციანიდის საქმის პროკურორმა ზვიად გუბელაძემ განაცხადა, რომ

მას შემდეგ, რაც გაეცნობიან სასამართლოს სამოტივაციო ნაწილს, იმსჯელებენ, გაასაჩივრებენ თუ არა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას.

პროკურატურა სააპელაციო სასამართლოსგან მოითხოვდა, რომ დეკანოზ გიორგი მამალაძეს საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი – შურისძიების მოტივით განზრახ მკვლელობის მომზადება – შეცვლილიყო ანგარებით მკვლელობის მომზადებით, თუმცა სააპელაციო სასამართლომ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება უცვლელი დატოვა.

– მნიშვნელოვანია, რომ სააპელაციო სასამართლომ გიორგი მამალაძე დამნაშავედ ცნო განზრახ მკვლელობის მომზადების ნაწილში, ასევე ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვაში. ჩვენ აღნიშნულ გადაწყვეტილებას ველოდით. რაც შეეხება ჩვენს მოთხოვნებს ანგარებასთან დაკავშირებით, გავეცნობით სამოტივაციო ნაწილს და შემდეგ მივიღებთ გადაწყვეტილებას. ვინ თუ არა გიორგი მამალაძემ შესანიშნავად იცის, რომ დამნაშავეა და ის განაჩენის გამოცხადებაზეც კი არ მოვიდა, – განაცხადა პროკურორმა ზვიად გუბელაძემ.

შორენა მარსაგიშვილი

# „თუ სააკაშვილს საქართველოში გამოუშვებთ, ჩვენ თვითმფრინავს დაჯდომის უფლებას არ მივცემთ!“

## საქართველოს ხელისუფლებამ დაკავებული სააკაშვილის მიღებაზე უარი თქვა

თმებდაწიწკნილი და უკრაინიდან გაძევებული საქართველოს მესამე პრეზიდენტი მსოფლიო მედიის ყურადღების ცენტრშია. „ქართული ოცნება“ კი თავის ამომრჩეველს ჰპირდება, რომ მიხეილ სააკაშვილს ძალიან მალე მოუწევს ქართული მართლმსაჯულების წინაშე წარდგომა.

ეს დღე, წესით, 12 თებერვალს უნდა დამდგარიყო, მაგრამ ქართულმა მხარემ მისი მიღება არ ისურვა.

ამასთან დაკავშირებით სკანდალურ ინფორმაციას ავრცელებს სამართალდამცავთა რეფორმირების ცენტრის ხელმძღვანელი ზვიად კუპრავა.

– 12 თებერვალს, როგორც კი მიშას თვითმფრინავი აფრინდა კიევიდან, უკრაინის ხელისუფლება მომენტალურად დაუკავშირდა საქართველოს და ფაქტის წინაშე დააყენა ხელისუფლება, რომ თვითმფრინავი, რომელშიც სააკაშვილი იჯდა, თბილისის მიმართულებით მოფრინავდა...



კატეგორიული უარის მიუხედავად, უკრაინული მხარე რამდენიმე წუთის განმავლობაში ჯიუტად ცდილობდა, დაეყოლიებინა საქართველოს ხელისუფლება სააკაშვილის ექსტრადიციაზე... რადგან პოროშენკოსთვის საქართველოს ციხეში მყოფი სააკაშვილი ბევრად უფრო მეტი სიმშვიდის საფუძველია, ვიდრე თავისუფლებაზე მყოფი ოპოზიციონერი მეზობელ ქვეყანაში. „თუ სააკაშვილს საქართველოში გამოუშვებთ, ჩვენ არ მივცემთ თვითმფრინავს დაჯდომის უფლებას“, – ეს იყო საქართველოს ხელისუფლების საბოლოო პასუხი...

შესაბამისად, მიშა ახლა ვარშავაშია და ისევ წარმოადგენს მოუგვარებელ, მოჭარბებულ საფრთხეს პეტრო პოროშენკოსთვის, ბიძინამ კი დროებით, მაგრამ ამოისუნთქა, – ამბობს ზვიად კუპრავა.

საქართველოს მთავარი პროკურატურა ამტკიცებს, რომ სააკაშვილის საკითხთან დაკავშირებით საქართველოს პროკურატურამ პოლონეთის კომპეტენტურ უწყებებს 2017 წლის აგვისტოში მიმართა, რის შესახებაც პროკურატურამ შესაბამისი ინფორმაცია გაავრცელა.

– ძებნილ მსჯავრდებულ მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებით საქართველოს მთავარ პროკურატურას, როგორც ყველა სხვა ძებნილი პირის შემთხვევაში, კომუნიკაცია აქვს სხვადასხვა ქვეყნის კომპეტენტურ ორგანოებთან და ახორციელებს კანონით გათვალისწინებულ ყველა შესაბამის სამართლებრივ პროცედურას სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში. რაც შეეხება საქმის სხვა დეტალებს, სამართლებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე დამატებით კომენტარი არ გაკეთდება, – განაცხადა პროკურატურის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახუ-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# კონსტანტინე გამსახურდია: „აქამდე დასახელებულ კანდიდატებს შორის ყველაზე ლოგიკური ივანიშვილი მგონია“

ნათია ხურცილავა

**ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი კონსტანტინე გამსახურდია „ახალ თაობასთან" ინტერვიუში საპრეზიდენტო არჩევნებსა და კანდიდატებზე საუბრობს.**

***— ბატონო კონსტანტინე, ექსპერტები აცხადებენ, რომ ოპოზიციამ უნდა შეძლოს საერთო საპრეზიდენტო კანდიდატზე შეთანხმება. ნაციონალური მოძრობა გამოდის ინიციატივით, რომ საერთო საპრეზიდენტო კანდიდატზე მოხდეს შეთანხმება. რამდენად შეძლებს ოპოზიცია, საერთო საპრეზიდენტო კანდიდატი ჰყავდეს?***

— სიმართლე გითხრათ, ეს იდეა არ არის ცუდი. შეიძლება იქნეს განხილული და ოპოზიციის დიდი ნაწილი, დარწმუნებული ვარ, მართლაც განიხილავს ამ წინადადებას. ნაციონალურ მოძრაობას, გვინდა თუ არა, მინიმუმ 300 ათასი ამომრჩეველი უჭერს მხარს, რაც სერიოზული ძალაა. თუმცა, რა თქმა უნდა, მე დღეს გამიჭირდება იმის თქმა, რომ შეთანხმება მარტივად იქნება მისაღწევი და ამისთვის ოპოზიციას მთელი ძალისხმევის მობილიზება არ დასჭირდება. ასე ნამდვილად არ იქნება.

***— ხელისუფლება ამბობს, რომ ოპოზიცია ვერ შეძლებს გაერთიანებას.***

— ეს ხელისუფლების დიდი სურვილია, შეიძლება, ამოცანაც არის და მე ამას არ გამოვრიცხავ, მაგრამ ჩვენ უნდა შევძლოთ იმის გაცნობიერება, რომ თუ გვინდა გარდამტეხი ბრძოლა, პოლიტიკურ ბრძოლაზე მაქვს საუბარი, მაშინ ოპოზიცია უნდა გაერთიანდეს. სხვა შემთხვევაში ეს არჩევნები არ იქნება. ეს იქნება უბრალოდ არჩევნებში მონაწილეობა მონაწილეობისთვის, სადაც მთავარი გამარჯვება კი არ არის, არამედ მონაწილეობა. აქამდე ჩვენ ეს სურათი არაერთხელ ვნახეთ.

მიუხედავად ამ ყველაფრისა, მე წინასწარ ძალიან მიჭირს პროგნოზის გაკეთება, იმდენად რთული თემაა. რეალურად საქმე შეეხება თუნდაც ხელისუფლებასთან დამოკიდებულებას, პოლიტიკური ბრძოლის მეთოდებს, ასევე ძალიან ბევრი რამე დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ ვის დააყენებს თავად ხელისუფლება საპრეზიდენტო კანდიდატად და ა.შ.

***— ვინ შეიძლება იყოს სახელისუფლებო კანდიდატი?***

— აქამდე გავრცელებული კულუარული ინფორმაციებიდან მე ყველაზე ლოგიკური მაინც ბიძინა ივანიშვილის კანდიდატურა მგონია.

***— რატომ?***

— ბევრი ნიუანსის გათვალისწინებით. თავის დროზე მის



მიერ პრეზიდენტის პოსტზე შერჩეულმა კანდიდატმა არ გაუმართლა, რასაც ვერ ეგუება და ამას სერიოზულად განიცდის, როგორც ჩანს. ასევე, როგორც ჩანს, მან აქამდეც ერთგვარი სასინჯი მონახაზები გააკეთა, მაგრამ ვერავინ შეარჩია, ამიტომ, არ არის გამორიცხული, რომ თავად მოგვევლინოს. აქამდე კანდიდატის შესახებ ინფორმაციამ რომ არ გამოჟონა, ჩემთვის ესეც სერიოზული სიგნალია. დღეს ასეთი კანდიდატი, უბრალოდ, არ არსებობს. ამიტომ, მე არ გამოვრიცხავ, რომ თავად გახდეს კანდიდატი. თუ ბიძინა ივანიშვილი პრეზიდენტი გახდება, მაშინ პირველი, ალბათ, რასაც გააკეთებს, იქნება ის, რომ პრეზიდენტის სასახლეს პრივატიზაციაში გაუშვებს. შემდეგ ამ ინსტიტუტს, ალბათ, საერთოდ მიაუქმებს თავისი პასიურობით. შეიძლება ფორმალურად იყოს, მაგრამ თავად დაიმალება, არ გამოჩნდება, რამდენადაც ამ ადამიანს ჭირივით ეზარება საჯაროობა.

საოცარი პარადოქსული ვითარება შეიქმნა ქვეყანაში — პოლიტიკის სათავეში მოვიდა ძალა, რომლის ლიდერსაც პოლიტიკა სძულს, აბსოლუტურად სძულს და ის იძულებულია, პოლიტიკაში ასე იყოს. ივანიშვილს პოლიტიკის დემონტაჟი სურს, სურს, პოლიტიკაში აპოლიტიკური და ყოვლად ოდიოზური სახეები შემოიყვანოს, ადამიანები, რომლებსაც საერთოდ არ აქვთ პოლიტიკის მონაცემები, საერთოდ პოლიტიკა არ გაეგებათ და არანაირი შეხება არ ჰქონიათ. ეს არის სწორედ მიუღებელი და გაუგებარი.

***— პოლიტოლოგები აცხადებენ, რომ ოპოზიციისთვის აპოლიტიკური კანდიდატის წარმოდგენა უფრო მომგებიანი იქნება.***

— როგორ შეიძლება, აპოლიტიკური ფიგურა იყოს საპრეზიდენტო კანდიდატი?! ეს ხომ ივანიშვილიზმია. ამას ამკვიდრებს ივანიშვილი, რომ პოლიტიკური ველიდან გაჰყავს პოლიტიკოსები და პოლიტიკა.

***— პოლიტიკოსებს, როგორც პარტიებს, მაინცდამაინც დიდი რეიტინგი არ აქვთ საქართველოში.***

— გასაგებია, მაგრამ სწორედ ამ გზით ხდება პოლიტიკის რეკონსტრუქცია და დემონტაჟი.

***— თქვენ ფიქრობთ, ამას ემსახურებოდა „შუა უნდა გაიკრიფოს“?***

— დიახ. სწორედ ეს პოლიტიკა იყო ამ ფრაზის ქვეტექსტი. სისტემური ოპოზიციის შექმნას ცდილობს ხელისუფლება. სხვათა შორის, თავის დროზე ეს ცადა სააკაშვილმა, მაგრამ ძალიან დიდი შეცდომა დაუშვა. სააკაშვილმა გადაწყვიტა, რომ ძირითადი ოპოზიციური პარტიები დაეუთოებინა, შემდეგ შეეცადა, ეს ფლანგი „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობითა“ და „ეროვნულ-დემოკრატიული პარტიით“ შეევსო, რომლებიც თავისთავად ძალიან მეჩხერი პარტიები იყო. ამ პარტიებს არავითარი დიდი ზეგავლენა არ ჰქონდათ პროცესებზე. სწორედ ამან შექმნა ის სიტუაცია, როდესაც მეორე მასშტაბური ძალა, რომელიც ყოველდღიურად აკუმულირდებოდა მთელი ამ ხნის განმავლობაში, როგორც სტიქიური მოვლენა, ისე შემოვარდა პოლიტიკურ სივრცეში და რეალურად მოიგო არჩევნები.

სწორედ ამას ცდილობს დღეს ხელისუფლება სისტემური ოპოზიციის შექმნითა და დანარჩენი ოპოზიციური ძალების ნიველირებითა თუ გაქრობით. ეს კარგს არაფერს მოუტანს მათ. ამიტომ არის, რომ ხელისუფლებას ჭირივით ეშინია მესამე ძალის. მათ არ უნდათ, რომ მესამე ძალა შეიქმნას.

დღეს ივანიშვილის ხელისუფლებას წყალივით სჭირდება ორპარტიული სისტემა. ამიტომ, დარწმუნებული ვარ, მესამე ძალას არ გააჭაჭანებენ. საპრეზიდენტო არჩევნებიც სწორედ ამ ჭრილში წარიმართება. ამიტომ, მე არ გამოვრიცხავ, რომ ოპოზიციის გაერთიანებასა და ერთიანი ფრონტით წარდგომას ხელოვნური საფრთხეებიც შეექმნას ხელისუფლების მხრიდან. ხელისუფლება ალბათ ეცდება, ყველაფერს გააკეთებს, რომ ოპოზიციის გაერთიანება და ერთიან კანდიდატზე შეთანხმება არ დაუშვას.

***— პროდასავლური ძალების გაერთიანება თუ მოხდა, ამ შემთხვევაში ასეთი ეფექტური არ იქნება?***

— რა თქმა უნდა, კარგია, როდესაც ერთიანდებიან ის პარტიები, რომლებსაც მეტი საერთო და მეტი შეხების წერტილები აქვთ. ეს ძალიან კარგია, რადგან მათ ბუნებრივი სიახლოვე აკავშირებთ ერთმანეთთან და წინააღმდეგობები აქ ნაკლებია, მაგრამ მე დიდ ერთობაზე ვსაუბრობ. ისეთ ერთობაზე, როდესაც ერთ მხარეს არის ხელისუფლება და მეორე მხარეს — ყველა დანარჩენი. ეს იქნებოდა სერიოზული დარტყმის მიყენება ხელისუფლებისთვის, თან, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მათ კანდიდატის სერიოზული პრობლემა აქვთ.

ოპოზიციის ამოცანა უნდა იყოს სერიოზული წინააღმდეგობის გაწევა და არა უბრალოდ მარათონში მონაწილეობის მიღება, მარათონში, რომელსაც აზრი არ აქვს. ეს კიდევ უფრო მისცემს ბიძგს საქართველოში პარტიული პოლიტიკის გაქრობასა და საერთოდ პოლიტიკის გაქრობას.

***— თქვენ პრეზიდენტის რეზიდენციასთან დაკავშირებით თქვით, ფიქრობთ, ახალი პრეზიდენტი ავლაბრის რეზიდენციაში არ შევა?***

— გააჩნია, ვინ იქნება ახალი პრეზიდენტი. თუ პრეზიდენტი ივანიშვილი იქნება, რა თქმა უნდა, არ შევა და ავლაბრის რეზიდენცია პრივატიზაციის ნუსხაში აღმოჩნდება. ეს იქნება მისი ოცნების ასრულება. თუმცა, მე სულაც არ ვფიქრობ, რომ ავლაბრის რეზიდენცია პრივატიზებული უნდა იყოს.

***— ამ საკითხზე თავის დროზე ძალიან დიდი ვნებათაღელვა იყო.***

— დიახ, სერიოზული დაპირისპირება მარგველაშვილსა და ივანიშვილს შორის, როგორც ამბობენ, ამ საკითხზე დაიწყო. თუ ჩემი აზრი გაინტერესებთ ამ კონკრეტულ შემთხვევაზე, გეტყვით, რომ ვინაიდან ჩვენი ფულის, ამ ქვეყნის მოქალაქეების, გადამხდელების უზარმაზარი ნაწილი ამ სასახლის აშენებაში ჩაიდო, ის უნდა დარჩეს, როგორც სიმბოლო და პრეზიდენტის ინსტიტუტიც უნდა დარჩეს, როგორც ქვეყნის მეთაური, ქვეყნის პირველი პირი და არა მხოლოდ სიმბოლო. არ შეიძლება, ვებრძოლოთ ინსტიტუტებს, ინსტიტუციებს. ეს კარგს არაფერს მოგვიტანს.

# დავით ლორთქიფანიძე: „გიგი უგულავას ვანისა და ხონის შუალედურ არჩევნებში შანსი არ აქვს“

## ვის კანდიდატურას წამოაყენებს „ქართული ოცნება“?

გულიკო ბალაძე

**ვანსა და ხონში შუალედური არჩევნებია დანიშნული. წარადგენს თუ არა „ოცნება" დეპუტატობის კანდიდატად დავით ლორთქიფანიძეს, რომელიც მე-8 მოწვევის პარლამენტის წევრი გახლდათ? დეპუტატობის კანდიდატობა ბევრს უნდა. ზოგიერთი პირი „ოცნების" მაღალ ეშელონებში შუამავლებს აგზავნის, რომ დეპუტატობის კანდიდატად ის დასახელდეს. „ახალი თაობა" დავით ლორთქიფანიძეს ესაუბრა.**



***— ბატონო დავით, „ევროპული საქართველოს“ კანდიდატი შუალედურ არჩევნებში გიგი უგულავა ხალხს ჰპირდება, რომ ყველაფერს გააკეთებს მათთვის. როგორც ვიცი, ვანი თქვენი მშობლიური რაიონია.***

— ვანში დავიბადე და გავიზარდე.

***— ამიტომ მაინტერესებს, თქვენი აზრი უგულავას განცხადებებზე.***

— ვანისა და ხონის დეპუტატი გიორგი ლილუაშვილი სახელმწიფო სტრუქტურაში — სუსში გადავიდა. მინდა მას წარმატება ვუსურვო. ამიტომ პარლამენტის შუალედური არჩევნები ამ ოლქში არის აპრილში.

***— „ოცნება“ კანდიდატის დასახელებას არ აგვიანებს?***

— თებერვლის ბოლომდე უნდა გამოცხადდეს. კანდიდატურაზე „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭო იმსჯელებს და შემდეგ ჩაერთვება საარჩევნო კამპანიაში. უგულავას პოზიცია აბსოლუტურად მიუღებელია. ის, ჩემი აზრით, ახლაც საპატიმრო ადგილზე უნდა იყოს და მოსახლეობას ცრუ დაპირებებით არ უნდა ატყუებდეს.

***— უგულავა ამომრჩეველს ცრუ დაპირებებს აძლევს?***

— დიახ. უგულავამ მოსახლეობას უთხრა, რომ ვანი უნდა გახდეს ტურისტული ცენტრი, არქეოლოგიური მუზეუმი აქამდე რატომ არ არის აშენებულიო. მისი განცხადებები სამარცხვინოა, რადგან ის იმ ჯგუფის წევრია, რომელიც წინა ხელისუფლებას წარმოადგენდა. აღნიშნული მუზეუმი, ფაქტობრივად, მათ დაანგრიეს.

***— როგორ?***

— ვანის მუზეუმი ექსპლოატაციაში 2014 წლის აპრილში უნდა შესულიყო. მათი ხელისუფლების დროს, მუზეუმი, ფაქტობრივად, დაიშალა, მწყობრიდან გამოვიდა ძგიდი კედლები, რადგან 2012 წელს სააკაშვილი ბრძანდებოდა ვანში (მაშინ უგულავა სააკაშვილის გუნდის წევრი გახლდათ) და მუზეუმს სახურავი გადახადეს, რაც პროექტით გათვალისწინებული არ იყო. დაზამთრდა და კედლები მოიშალა. მათ წააგეს არჩევნები და ჩვენ ხელში შეგვრჩა პროექტი, რომელშიც არ იყო გათვალისწინებული სახურავის მოხსნა.

***— სახურავი რატომ გადახადეს?***

— მუზეუმს სახურავი სააკაშვილის მითითებით გადახადეს, კარგად რომ გაპიარებულიყო. ტელევიზიებმა გადაიღეს, თითქოს მუზეუმი იყო გაჩანაგებული. პროექტში არ იყო გათვალისწინებული სახურავის მოხსნა. მე დამჭირდა თითქმის სამი წელი, რომ მუზეუმის აღდგენის პროექტი დაგვეხსნა კომპანია „სანის“ კლანჭებიდან, რომელსაც მუზეუმის რესტავრაცია უნდა გაეკე-

გაგრძელება მე-5 გვერდზე

# „თუ სააკაშვილს საქართველოში გამოუშვებთ, ჩვენ თვითმფრინავს დაჯდომის უფლებას არ მივცემთ!“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

რის უფროსმა ნათია სუხიაშვილმა.

საქართველოსა და უკრაინის ხელისუფლებების მიერ დაწუნებულ სააკაშვილს რუსეთის დუმის დეპუტატი ვლადიმერ ჟირინოვსკი გამოესარჩლა. მისი აზრით, ჩვენებური ნობელის პრემიაზეა წარსადგენი.

ჟირინოვსკიმ მიხეილ სააკაშვილს „ნარინჯისფერი რევოლუციების ლენინი“ უწოდა.

— სააკაშვილი სიბრალულს იმსახურებს. მიხეილ ნიკოლოზის ძე სააკაშვილი ყველა ნარინჯისფერი რევოლუციების ორგანიზატორია. თეორეტიკოსი ჯინ შარპი რამდენიმე ხნის წინ მოკვდა, ხოლო სააკაშვილი ნობელის პრემიაზე უნდა წარადგინონ. ის პრაქტიკოსია, ნარინჯისფერი რევოლუციების ლენინია, — განაცხადა ჟირინოვსკიმ.

# ალეკო ელისაშვილი: „ტაქსებით დაწყება იგივეა, რაც სახლის შენება სახურავიდან“



ტაქსებით დაწყება იგივეა, რაც სახლის შენება სახურავიდან, — ასე ეხმაურება თბილისის მერობის ყოფილი კანდიდატი ალექსანდრე ელისაშვილი თბილისის მერის ინიციატივას ტაქსების რეგულირების შესახებ.

ელისაშვილის აზრით, ტაქსების რეგისტრაცია და არა მარტო რეგისტრაცია ზოგადად აუცილებელია, ვინაიდან არ შეიძლება ტაქსები იყოს ასეთი ქაოტური, მაგრამ ყველაფერს აქვს თანამიმდევრობა.

— ტაქსებით დაწყება იგივეა, რაც სახლის შენება სახურავიდან. ჯერ სატრანსპორტო ფუნდამენტია მოსაწესრიგებელი — ჯერ მთლიანი სატრანსპორტო სისტემის ოპტიმიზაცია უნდა მოხდეს, ახლებურად დაიგეგმოს სატრანსპორტო ქსელი, დაემატოს ეკოლოგიურად სუფთა, ტევადი ტრანსპორტი, მოხდეს სამარშრუტო ტაქსების პერიფერიულ მიმართულებებზე გადაყვანა და ბოლოს, სულ ბოლოს უნდა მიხედო ტაქსებს. სხვა შემთხვევაში ხელისუფლება დანაყავს წყალს და მიიღებს ათი ათასობით ტაქსის მძღოლის უკმაყოფილებას.

ენერგეტიკის სამინისტროდან რომ გადასკუპდა მთლიანი შემადგენლობა მერიაში და უცებად ურბანული დარგების მცოდნეებად რომ წარმოიდგინეს თავები, იმიტომაც შეეჯახებიან კედელს. არც იციან, არც სხვას უსმენენ. ქალაქი და ხალხი ცოდოა ფუჭი ექსპერიმენტების გამო, — წერს ალექსანდრე ელისაშვილი სოციალურ ქსელში.

# ნინო წილოსანი: „რაც არ უნდა მასშტაბური იყოს ანტიპიარი, სიმართლე მაინც ზედაპირზე ამოვა“

**ინტერვიუ საქართველოს პარლამენტის წევრ ნინო წილოსანთან**

***– ბოლო ხანებში დიდი გამოხმაურება და არაერთი კრიტიკული აზრი მოჰყვა თქვენს ფეისბუქ სტატუსს, რომელიც „ბახალას განაჩენს“ ეხებოდა. რა იყო თქვენი მიზანი და რა იყო მოლოდინი?***

– აქ მოლოდინი ან მიზანი არაფერ შუაშია. ჩემს გულისტკივილს ის იწვევს, რომ არის მცდელობა, ხალხი და განსაკუთრებით – ახალგაზრდობა, შეცდომაში შეიყვანონ. ბევრჯერ მითქვამს, რომ მხარს ვუჭერ ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციას, მომხმარებელი არ შეიძლება ციხეში იჯდეს, მაგრამ ეს არ უნდა გვერეოდეს ნარკოტიკის გავრცელების მხარდაჭერაში. ნარკოტიკის მოხმარება არის სენი, რომელსაც უნდა ვებრძოლოთ წამალზე დამოკიდებული ადამიანების განკურნებაზე ზრუნვითა და მაქსიმალური პრევენციით, რადგან ჯანსალი ახალგაზრდობა უნდა იყოს ჩვენი ქვეყნის მომავალი. აი, რაც შეეხება რისკების გამოაშკარავებას, ამაში სახელმწიფო მკაცრი უნდა იყოს. ჩემი პოსტი ეხებოდა იმ ადამიანებს, რომლებიც სოციალურ ქსელში აპროტესტებდნენ 45 აბი სუბუტექსის ფლობაზე 8 წლით თავისუფლების აღკვეთის შეფარდებას. ვფიქრობ, ასეთი ადამიანები ვერ აანალიზებენ ნარკოტიკის გასაღების ზიანს და იმას, რომ 45 აბი არა პირად მოხმარებას, არამედ სხვა მიზნებს გულისხმობს. რა შეეხება „ბახალას“ შემთხვევას, მე არ მივცემ თავს უფლებას, ვიმსჯელო ჩადების ფაქტზე, მით უფრო, რომ დარწმუნებული ვარ, მსგავსი ფაქტები ნამდვილად არ ატარებს სისტემურ ხასიათს და, როგორც იცით, შსს შეუერთდა კამპანიას „არა ჩადებას“ და ამით საზოგადოებას უთხრა, რომ ის მსგავს პრეცედენტებს ებრძვის.

***– რა ეტაპზეა ამჟამად საქმე, რომელსაც თქვენი ოპონენტები ყველა შესაძლო შემთხვევაში გიხსენებენ? მკითხველისთვის დავძენ, რომ პროკურატურა „ვაგონმშენებელ კომპანიას“, რომელიც მამათქვენის, ბადრი წილოსანის დაარსებულია, 65 მილიონის გაფლანგვა-მითვისებას ედავება, ასევე განიხილავს კერძო დავას – ბიზნესმენი ავთანდილ საყვარელიძე ბადრი წილოსანს ქონების იძულებით წართმევაში ადანაშაულებს.***

– საქმის დროულად დასრულება, პირველ რიგში, კომპანიის ინტერესებშია, თუმცა სასამართლოში საქმის არსებითი განხილვა ჯერ ისევ მიმდინარეობს. ერთ-ერთი ბოლო სხდომა 2018 წლის იანვარში გაიმართა და ეს ინფორმაცია საქალაქო სასამართლოს ვებგვერდზეც არის განთავსებული. ისე, იქნებ იმითაც დაინტერესდეს საზოგადოება, წინა ხელისუფლების დროს როგორ დაიჭირეს მამაჩემი და ციხეში როგორ დაათმობინეს იმ ქარხნის 51%, რომელიც ნულიდან, წვალებითა და ამ საქმისთვის თავგადადებული ხალხის გვერდში დგომით ააშენა, შემდეგ კი, სააკაშვილის უშუალო ბრძანებით, ქარხანა „თ.ჯ. თრეიდს“ მიჰყიდეს, რომელმაც 3 წლის თავზე კომპანია 73 მილიონი ლარით გაკოტრებამდე მიიყვანა...

***– ანუ ამბობთ, რომ ბრალდების მხარის არგუმენტები დაუსაბუთებელია?***

– ვფიქრობდი, სასამართლო გადაწყვეტილებას დაველოდებოდი, რათა ჩემი მხრიდან საქმის დეტალებზე საუბარი არ აღქმულიყო რამე სახის ზეგავლენად. მაგრამ, ვინაიდან ვნებათაღელვა არ წყდება, დაინტერესებულ პირებს კომპანია სთავაზობს საქმის საჯარო მედიაგანხილვას საბუთებითა და მყარი არგუმენტებით. ამ საქმეში „ვაგონმშენებელი კომპანია“ არათუ დამნაშავე, არამედ დაზარალებულია...



და კიდევ ერთს აღვნიშნავ: პოსტსაბჭოთა სივრცეში სულ სამი კომპანიაა, რომელიც აწარმოებს ვაგონებს და ერთ-ერთი საქართველოში მდებარეობს. ვინც ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის ისტორია იცის, დამეთანხმება, რომ ამ კოლექტივში თავიანთი საქმის დიდი პროფესიონალები, უაღრესად პატიოსანი და საქმის ერთგული ადამიანები არიან. ბევრი მათგანი უკვე ათეული წლებია, აქ ოჯახებით მუშაობს. მე არ მინდა, რომ ეს ხალხი დაზარალდეს. რაც არ უნდა მასშტაბური იყოს ანტიპიარი, სიმართლე მაინც ზედაპირზე ამოვა.

***– მაინც რატომ გადაწყვიტეთ, რომ კენჭი გეყარათ? საარჩევნოდ „ოცნებას“ ბადრი წილოსანისგან ფული ხომ არ სჭირდებოდა, რომლის სანაცვლოდ შვილისთვის მანდატს მიიღებდა?***

– ეს ვერსია ძალიან არასერიოზულია. ჩახედეთ პარტიის დაფინანსებას, ეს ინფორმაცია ხომ საჯაროა. ამასთანავე, მინდა, გითხრათ, რომ პარლამენტარის მანდატი უდიდესი პასუხისმგებლობაა იმ ადამიანების მიმართ, რომლებმაც მხარი დაგიჭირეს, მით უფრო, რომ გურულები ყოველთვის დამოუკიდებელ არჩევანს აკეთებენ და ნაკლებად აქცევენ ყურადღებას, კანდიდატი ხელისუფლების წარდგენილია თუ ოპოზიციის. ასე რომ, ჩემი დეპუტატობა ნამდვილად მოკლებულია ყველანაირ ირიბ ჩანაფიქრს და მოტივირებულია მხოლოდ სურვილით, მაქსიმალურად გამოვიყენო შესაძლებლობები და უფრო მეტი გავაკეთო ჩემი რეგიონისთვის.

# დავით ლორთქიფანიძე: „გიგი უგულავას ვანისა და ხონის შუალედურ არჩევნებში შანსი არ აქვს“

დასაწყისი მე-4 გვერდზე

თებინა. კომპანია „სანი“ უშუალოდ იყო დაკავშირებული პროკურორ ახალაიასთან.

***– როგორ იყო დაკავშირებული?***

– მასთან დაახლოებული კომპანია გახლდათ. როდესაც ნაცრეჟიმის დროს სამეგრელოში ადამიანებს იჭერდნენ, შემდგომ მას პროკურორი ახალაია საპროცესო გარიგებებს სთავაზობდა და ფულს კონკრეტულ ანგარიშზე არიცხვინებდა, თითქოს იმ ანგარიშიდან შემდგომში კეთილ საქმეებს გააკეთებდნენ, ვთქვათ, ააშენებდნენ ეკლესია-მონასტრებს, პარალელურ რეჟიმში ადამიანებს საპატიმრო ადგილებიდანაც გაათავისუფლებდნენ. აღნიშნული ანგარიში კომპანია „სანის“ აღმოჩნდა და საპროცესო გარიგებების დროს ადამიანებს ფულს თავის ანგარიშზე არიცხვინებდნენ. კომპანია „სანი“ ვალდებული და პასუხისმგებელი იყო ვანში არქეოლოგიური მუზეუმის აშენებაზე.

კომპანია „სანიმ“ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე მრავალი ტენდერი მოიგო, დაახლოებით 40 მილიონის ფარგლებში. მას მფარველობდა ნაციონალების კლანი. ნაცხელისუფლებამ მას თანხა მისცა ავანსად და წინმსწრებად გადაურიცხა 8 მილიონი, რომელიც მათ წინასაარჩევნო კამპანიაში გამოიყენეს. მათ შორის, ვანის არქეოლოგიური მუზეუმიდანაც დაახლოებით მილიონი ლარი ავანსის სახით კომპანია „სანის“ ჩაერიცხა, თანხა კი არჩევნებში დაიხარჯა. ამიტომ მუზეუმის რეაბილიტაცია არ დაიწყო და ის დაინგრა.

ეროვნული მუზეუმის აქტიური ჩართულობით, 2016 წლის მაისში, ჩვენ გავმართეთ ახალი მუზეუმის პროექტის პრეზენტაცია ვანის არქეოლოგიური მუზეუმის ტერიტორიაზე. გამოცხადდა ტენდერი, გამოვლინდა გამარჯვებული, მიმდინარეობს აქტიური სამუშაოები და, ჩემი ინფორმაციით, მუზეუმი დასრულდება 2018 წლის აგვისტოში. მუზეუმი იქნება სრულიად უნიკალური, ევროპის მასშტაბით გამორჩეული.

***– რით?***

– თავისი კლიმატკონტროლით, შიდა განათებებით. რაც მთავარია, მხოლოდ მუზეუმის რეაბილიტაცია კი არ მოხდება, არამედ მისასვლელი გზები და ბილიკებიც გაკეთდება. ამ პროექტისთვის მსოფლიო ბანკისა და საქართველოს ცენტრალური ბიუჯეტიდან 14 მილიონი ლარი გამოიყო. ამ ფონზე უგულავას განცხადებები სამარცხვინოა. უგულავას გვერდით მდგომი ადგილობრივი აქტივისტები მე თვალებს ვერ გამისწორებენ.

***– რატომ გგონიათ ასე?***

– იმიტომ, რომ ვანის რაიონში ქვა სად დევს და რატომ დევს, ყველაფერი ვიცი. ამიტომ



იმ ადამიანებს რეალობასთან შეჭიდება გაუჭირდებათ. ისინი ამ შემთხვევაში აშკარად წამგებიან პოზიციაში არიან თავის ლიდერთან ერთად. ვურჩევ მათ, გიგი უგულავა, პირველ რიგში, მიიყვანონ სულიკო ასათიანის ოჯახში, იმ ადამიანის ოჯახში, რომელიც უგულავამ და მისმა რეჟიმმა 2011 წლის 26 მაისს, რუსთაველზე მოკლეს და შემდეგ ნიკა კვინტრაძესთან ერთად მაღაზიის თავზე დააგდეს. ვურჩევ უგულავასა და სხვებს, წავიდნენ ასათიანის ოჯახში, სოფელ ციხესულორში.

მე მაქვს ძალიან ბევრი არგუმენტი და ფაქტი, რატომაც არის განწირული ნაცმოძრაობის განაყოფისა თუ თვითონ ნაცმოძრაობის არჩევნებში გამარჯვება, რატომაც ჩვენ ისინი არჩევნებს ვერ მოგვიგებენ.

***– რა არგუმენტები და ფაქტები გაქვთ, რისიც ნაცებს უნდა ეშინოდეთ?***

– ნაციონალებმა სოფელ ნიჩელეფონში საჯარო სკოლა გააუქმეს. კონტინგენტი სხვა სკოლაში გადაიყვანეს. ბავშვებს 14-16 კილომეტრის გავლა ფეხით უწევდათ. განსაკუთრებით მაღალმთიანი უბანია კუშუბოური. იქიდან ბავშვი სკოლაში რომ მოხვედრილიყო, ზამთარში, ყინვაში, დილის 7 საათზე უნდა წამოეყვანა მშობელს ფეხით, უნდა გაევლოთ ტყე, სადაც გარეული ცხოველების, მგლების ყმუილი ისმის. წარმოიდგინეთ, რა მდგომარეობაში იყვნენ ბავშვები. შედეგად სოფელი დაიცალა. ბავშვები სასწავლებლად სამტრედიასა და ქუთაისში გადავიდნენ.

***– სკოლა რატომ გააუქმეს?***

– სკოლის შენობაში თხილის გადამამუშავებელი ფაბრიკის გაკეთება უნდოდათ. ამის ავანგარდში იყვნენ ნაცმოძრაობის მაშინდელი დეპუტატები პაატა ლეჟავა, ბეჟან ხურციძე და ხელისუფლება. ორი დეპუტატი ჰყავდა მაშინ რაიონს და ამ სკოლის დასაცავად არაფერი გაუკეთებია. მე დავდექი პედაგოგების, მშობლებისა და ბავშვების გვერდით სკოლის გაუქმების საწინააღმდეგოდ მაშინ, როდესაც ნაცმოძრაობა ზენიტში იყო, ვატარებდით აქციებს. შეხვედრები მქონდა სკოლის პედაგოგებთან. მადლობელი ვარ სკოლის პედაგოგების, განსაკუთრებით, სკოლის დირექტორის, ქალბატონ ნაზის, რომელიც არ ეპუებოდა ნაცრეჟიმს.

ეს ხდებოდა 2010-11 წლებში. როცა მე ვხვდებოდი სოფლის მოსახლეობას, მომენტალურად იქ ჩნდებოდნენ უშიშროების თანამშრომლები. ოღონდ ისინი სხვა რაიონებიდან ჩამოჰყავდათ, ადგილობრივი სუსის თანამშრომლებს დისკომფორტი რომ არ შექმნოდათ ჩემთან ურთიერთობაში. ჩემთან ხელის წამოკვრით ვერ იურთიერთებდნენ.

***– ნაცების შემდეგ სკოლა აღადგინეთ?***

– როგორც კი ხელისუფლებაში მოვედით, პრემიერ ივანიშვილს სკოლის აღდგენა ვთხოვე. მაშინ განათლების მინისტრი გიორგი მარგველაშვილი იყო. 2013 წლის 21 იანვარს, როგორც კი დაიწყო ახალი სასწავლო პროცესი, ჩვენ ვანში ის სკოლა აღვადგინეთ.

ვანის რაიონში ნაცებს ასეთი არაერთი მავნებლობა აქვთ ჩადენილი. ვიცი, ხონშიც აქვთ ბევრი მავნებლობა გაკეთებული. ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს, ნაცებს ვინ გამოეყო და ვინ – არა. ისინი არიან სისხლიანი რეჟიმის წარმომადგენლები, რომლებიც წლების განმავლობაში საქართველოს მოსახლეობას აწამებდნენ, ტანჯავდნენ. ამიტომ არა მგონია, მოსახლეობა შეცდომაში შევიდეს. ამიტომ უგულავას ვანსა და ხონში არანაირი შანსი არ აქვს.

***– თქვენ ხომ არ ერთვებით ამ საარჩევნო მარათონში? შეიძლება თქვენი კანდიდატურა წამოაყენონ დეპუტატობის კანდიდატად?***

– შესაძლებელი არის, რა თქმა უნდა, არ გამოვრიცხავ. გადაწყვეტილება გუნდის ლიდერებმა უნდა მიიღონ. ჩვენ ინფორმაცია გვაქვს. ხშირად ვარ რაიონში. ორი დღის წინ ვიყავი რაიონში და ვიცი მოსახლეობის განწყობა, ვის აქვს სურვილი, ვინ წვალობს, რომ დაასახელონ და ვის ვისი იმედი აქვს.

***– ზოგი წვალობსო, ზოგი დეპუტატობისთვის მავანს აწუხებსო, ვინ ვის აწუხებს?***

– დიახ, ვიღაცებს აწუხებენ იქ, რაიონში, ან ვისზეც მიუწვდებათ ხელი. არაფერი იმალება. გვარებს არ დავასახელებ, გამგები გაიგებს. აწუხებენ იმ ადამიანებს, რომლებიც ხელისუფლების მაღალ ეშელონებში არიან. რამდენად რეალურია, არ ვიცი.

***– თქვენ ვისზე საუბრობთ? მე მაქვს ინფორმაცია, რომ სახელისუფლებო პარტიიდან ბევრი ცდილობს, ვანისა და ხონის მაჟორიტარობის კანდიდატად დასახელდეს.***

– ადამიანებმა, ვისაც აქვთ დეპუტატების სურვილი, უნდა თქვან, რა გაუკეთებიათ რაიონისთვის, ქვეყნისთვის 2012 წლის ოქტომბრამდე, დანარჩენი გამოჩნდება.

***– ბატონო დავით, თქვენ არავის აწუხებთ დეპუტატობისთვის?***

– შემიძლია ხატზე დავიფიცო, რომ არავინ შემიწუხებია. არა მგონია, მჭირდებოდეს დამატებით ვინმეს შეწუხება მაშინ, როდესაც ჩემთვის ნომერ პირველი საზრუნავი ყოველთვის ვანის რაიონი იყო. შეგიძლიათ ამოიღოთ კადრები მე-8 მოწვევის პარლამენტის მუშაობის პერიოდიდან. მე მაჟორიტარი დეპუტატი არ ვიყავი. მაჟორიტარი ნაციონალებიდან პაატა ლეჟავა გახლდათ, რომელსაც დღესაც არ უგია პასუხი ჩადენილ დანაშაულზე. ჩემი უშუალო აქტიურობით, ვანის რაიონში იმდენი რამ არის გაკეთებული, რომ არა მგონია, საჭიროა ახლა კარდაკარ ვიარო და გავეცნო ადამიანებს.

***– სულიკო ასათიანის მკვლელობის საქმე დღესაც რომ არ არის გამოძიებული და დამნაშავეებს პასუხის არ უგიათ, ეს თქვენ ხელს არ შეგიშლით?***

– განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მამა გარდამეცვალა, ხშირად ჩავდივარ ვანში, დედაჩემთან. ახლა მე სულიკო ასათიანის ოჯახშიც ვიყავი. ნამდვილად არ შემიშლის ხელს, პირიქით, დამეხმარება. მათ იციან ჩემი განწყობა, მათ იციან ჩემი არაერთი მცდელობის, განცხადებების თაობაზე, რომ ეს საქმე ბოლომდე მიყვანილიყო. საბოლოოდ მაინც აგებს პასუხს ლეჟავა, ვინც მათ ოჯახს აშანტაჟებდა, ემუქრებოდა. ამიტომ ის ოჯახი ნამდვილად მოტივირებულია, რომ საქართველოს პარლამენტში იყოს ღირსეული ხმა.

# 200 ჰექტარი ტყე თუ 1.219 გიგავატ/სთ ელექტროენერგია ყოველწლიურად



მესტიის მუნიციპალიტეტში, მდინარეების ნენსკრასა და ნაკრას ხეობებში მაღალკაშხლიანი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობასთან დაკავშირებით გარემოს დაცვის კომიტეტში განსხვავებული შეფასებებია.

„კომერსანტის“ კითხვაზე, ღირს თუ არა 280 მეგავატის სანაცვლოდ, 200 ჰექტარი ბიომრავალფეროვანი ტყის გაჩეხვა, კომიტეტის თავმჯდომარის, კახა კუჭავას, თქმით, არც ერთი ჰიდრო თუ სხვა მასშტაბური პროექტი გარემოს დაზიანების ხარჯზე არ უნდა განხორციელდეს.

– სოციალური საკითხებისა და სტრატეგიულობის გათვალისწინება აუცილებელია, ამის შემდეგ კი აღმასრულებელმა ხელისუფლებამ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, ღირს თუ არა პროექტის დაწყება, რაც მოხდა კიდეც ნენსკრას შემთხვევაში. არც ერთი ინფრასტრუქტურული პროექტი არ უნდა ხორციელდებოდეს გარემოს დაზიანების ხარჯზე, – აღნიშნავს კუჭავა.

მისივე თქმით, მნიშვნელოვანი კომპონენტია სავალდებულო აღდგენითი ღონისძიებები და რეაბილიტაცია.

განსხვავებული მოსაზრება აქვს კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ზაზა ხუციშვილს.

მისი თქმით, ყოველდღიურად იზრდება ელექტროენერგიის მოხმარება, ამიტომ გარკვეულ დათმობაზე წასვლა საჭიროა. როგორც ხუციშვილმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, ნენსკრასთან დაკავშირებით დეტალურად არ ფლობს ინფორმაციას, თუმცა მიღებულია ძალიან მკაცრი კანონი გარემოზე ზემოქმედების შეფასების კუთხით და სწორედ მის ფარგლებში ხდება გადაწყვეტილების მიღებაც.

– რაც შეეხება ნენსკრას, წარმოიდგინეთ, რომ არ გვქონდეს ენგურჰესი, რომელმაც ისედაც დიდი ტერიტორია დატბორა, რა მოხდებოდა. ისედაც ცოტაა ენერგომატარებლები, არ გვაქვს არც გაზი და არც საწვავი (დიზელი და ბენზინი), ელექტროენერგიის თვალსაზრისით კი ისედაც ყიდვა-გაყიდვის რეჟიმში ვართ, ამიტომ მცირე და საშუალო ჰესების ათვისება არის ძალიან მნიშვნელოვანი, – აღნიშნავს ზაზა ხუციშვილი.

„კომერსანტი“ საკითხის შესახებ „ნენსკრაჰიდროს“ დაუკავშირდა. ჩვენ გავაგზავნეთ კონკრეტული კითხვები, თუმცა პასუხი ჯერჯერობით არ მიგვიღია. როგორც კომპანიაში აცხადებენ, პასუხები იგვიანებს, რადგან თითოეული კითხვა დეტალურ შესწავლას საჭიროებს.

იხილეთ კითხვების ნაწილი, რომლებიც „ნენსკრაჰიდროს“ გადავუგზავნეთ:

1. რამდენი ჰექტარი ტყის აღდგენაზეა საუბარი და რა დრო დასჭირდება გეგმის რეალიზაციას?
2. რა დაუჯდება კომპანიას ტყის აღდგენა?
3. რა მოთხოვნები და რა ვალდებულებებია გათვალისწინებული საინვესტიციო პირობაში ტყის აღდგენისა და გარემოზე ზემოქმედების თვალსაზრისით?

სს „ნენსკრაჰიდრო“ კორეის წყლის რესურსების კორპორაცია K-water-ისა და სს „საპარტნიორო ფონდის თანამშრომლობის შედეგად 2015 წელს შეიქმნა. მიზანს მესტიის მუნიციპალიტეტში, მდინარეების ნენსკრასა და ნაკრას ხეობებში მაღალკაშხლიანი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა წარმოადგენს.

ნენსკრას ჰიდროელექტროსადგურის დადგმული სიმძლავრე 280 მეგავატია, რომლის სანაცვლოდ პროექტი სვანეთში 200 ჰექტარი ფართობის ტყის გაჩეხვას ითვალისწინებს.

# ბანკებში იპოთეკით 15 მლრდ ლარის უძრავი ქონება დაიტვირთა



კომერციული ბანკებიდან სესხის მისაღებად გასულ წელს ბანკების სასარგებლოდ 14.993.901.606 ლარის საცხოვრებელი ფართი დაიტვირთა.

ამის შესახებ ინფორმაცია ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებულ ბანკების 2017 წლის მე-4 კვარტლის ფინანსურ ანგარიშგებებშია მოცემული.

კერძოდ, ანგარიშგების თანახმად, მოთხოვნის უზრუნველყოფის მიზნით ყველაზე მეტი – 6.080.480.275 ლარის საცხოვრებელი ფართი „თიბისი ბანკის“ სასარგებლოდ დაიტვირთა.

შემდეგ მოდის „საქართველოს ბანკი“, რომლის სასარგებლოდაც 2017 წელს 5.689.112.324 ლარის ღირებულების საცხოვრებელი ფართი დაიტვირთა.

მე-3 ადგილზე „ვითიბი ბანკია“, რომლის სასარგებლოდ დატვირთული საცხოვრებელი ფართის ღირებულება 875.781.710 ლარი იყო.

2016 წელს ბანკების სასარგებლოდ 1.126.082.580 ლარის ღირებულების საცხოვრებელი ფართი დაიტვირთა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ 5 ბანკს – „ტერა ბანკს“, „თიბისის“, „პროკრედიტ ბანკს“, „კრედოსა“ და „საქართველოს ბანკს“ 2016 წლის მე-4 კვარტლის ანგარიშგებაში არ აქვთ მითითებული, თუ რა ღირებულების საცხოვრებელი ფართი დაიტვირთა მათ სასარგებლოდ.

# ბიზნესსახლის მშენებლობისთვის 3 კომპანია იბრძოლებს



71 მილიონიანი პროექტის, თბილისში ბიზნესსახლის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების უფლების მოსაპოვებლად ერთმანეთს 3 კომპანია შეეჯიბრება.

შპს „დაგმა“, „სამშენებლო-სამრეწველო საინვესტიციო კორპორაცია აკკორდმა“ და ამხანაგობა „ბიზნეს სახლმა“ მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ გამოცხადებულ ტენდერში საკუთარი წინადადებები წარადგინეს.

ამჟამად ფონდის სატენდერო კომისია წინადადებების შესწავლითაა დაკავებული.

შპს „დაგი“ ქართული კომპანიაა, რომელსაც არაერთ სახელმწიფო ტენდერში აქვს მონაწილეობა მიღებული, მათ შორისაა მესტიის ცენტრისა და წყალტუბოს რეაბილიტაცია, ასევე სასტუმრო ანაკლიისა და განმუხურის ამფითეატრის მშენებლობა. თუმცა მესტიის რეაბილიტაციის 23 მილიონიანი პროექტი რამდენიმე წლის წინ სადავო გახდა. მესტიის მუნიციპალიტეტი კომპანიისაგან 6 მილიონი ლარის უკან დაბრუნებას ითხოვდა.

„სამშენებლო-სამრეწველო საინვესტიციო კორპორაცია აკკორდი“ აზერბაიჯანული კომპანიის ფილიალია საქართველოში, რომელიც 2010 წელსაა დაფუძნებული.

რაც შეეხება ამხანაგობა „ბიზნეს სახლს“, მის შესახებ ინფორმაცია ინტერნეტსა და ბიზნეს რეესტრში არ იძებნება.

„ბიზნეს სახლი“ სახელმწიფოსა და ბიზნესს შორის თანამშრომლობის ახლებურ მოდელს წარმოადგენს, რომელიც ბიზნესისა და იურიდიული პირებისთვის, სხვადასხვა სამინისტროსა თუ სახელმწიფო უწყებაში გაფანტული სერვისების ერთ სივრცესა და ერთიან ელექტრონულ პლატფორმაზე მიწოდებას ითვალისწინებს

ჯამში საუბარია 600-ზე მეტ მომსახურებაზე, რომელსაც ბიზნესი დღეს სახელმწიფოს მხრიდან იყენებს და ყველა მათგანი ერთ სივრცეში იქნება ხელმისაწვდომი.

# სპეციფიკური ნარჩენების მართვა სავალდებულო ხდება



საქართველოს ნარჩენების მართვის კოდექსი საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლებს ახალ ვალდებულებებს აკისრებს. ერთ-ერთი მოთხოვნაა მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (მგვ) პრინციპის დანერგვა საქართველოში.

კერძოდ, კოდექსის თანახმად, ისეთი პროდუქტის უშუალო მწარმოებლები და ბაზარზე განმათავსებლები, რომელიც შემდგომ სპეციფიკური ნარჩენი ხდება, 2019 წლის დეკემბრიდან ვალდებული გახდებიან, უზრუნველყონ პროდუქტისგან წარმოქმნილი სპეციფიკური ნარჩენის გარემოზე უარყოფითი გავლენის შემცირება და ასეთი ნარჩენების აღდგენა/განთავსება.

აღნიშნული პრინციპი სრულიად ახალია საქართველოსთვის. მისი დანერგვა მოითხოვს არა მარტო შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შემუშავებას, არამედ ცნობიერების ამაღლებას და შესაძლებლობების გაძლიერებას სახელმწიფო სტრუქტურებსა და კერძო სექტორში.

მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების პრინციპის დანერგვის თემაზე დღეს გამართულ შეხვედრას საქართველოს მთავრობის, ადგილობრივი თვითმმართველობების, ბიზნეს-კომპანიების, ასოციაციებისა და სავაჭრო პალატების, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების და შესაბამისი პროექტების 70-ზე მეტი წარმომადგენელი დაესწრო.

– ელექტრონული ნარჩენების მართვა არის პრობლემა, რომლის მასშტაბებიც, სამწუხაროდ, ჯერჯერობით არ გვაქვს აღქმული. ამიტომ, საჭიროა დეტალური სამუშაოების ჩატარება ყველა დაინტერესებულ მხარესთან და ექსპერტებთან. საბედნიეროდ, საქართველო არ არის პირველი ქვეყანა, რომელიც ამ პრობლემაზე მუშაობას ახლა იწყებს.

საკანონმდებლო კუთხით, დარწმუნებული ვარ, რომ საჭირო გახდება გარკვეული ცვლილებები და პარლამენტი მზად არის, ითანამშრომლოს ყველა მხარესთან, – განაცხადა საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარემ კახა კუჭავამ.

შეხვედრის მონაწილეებმა მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების მოდელებსა და პოლიტიკურ ინსტრუმენტებზე ისაუბრეს.

– რა თქმა უნდა, დამატებითი ვალდებულებაა ეს იმპორტიორებისა და მწარმოებლებისთვის, მაგრამ ეს კეთდება იმისთვის, რომ შევინარჩუნოთ უსაფრთხო და ეკოლოგიურად სუფთა გარემო. ჩვენ ვეცდებით, რომ ამ ვალდებულებამ მწარმოებლებისთვის დამატებითი ფინანსური ტვირთი არ გამოიწვიოს, – განაცხადა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ სოლომონ პავლიაშვილმა.

# კრიპტობაზარი დასტაბილურდა



კრიპტობაზარზე სიტუაცია დასტაბილურდა. ჯამური კაპიტალიზაცია მხოლოდ 1.5%-ით, 420 მლრდ დოლარამდე გაიზარდა.

იმის გათვალისწინებით, რომ ახალი რეგულაცია ან აკრძალვა აღარ დაწესებულა, ვალუტების ფასები აღარ შემცირებულა და ჯერჯერობით არც ზრდის მიზეზი არსებობს.

კაპიტალიზაციით ათეულში შემავალი ვალუტებიდან 3%-ზე მეტად არც ერთის ფასი არ შეცვლილა, რაც ჩვეულებრივი ვალუტის მიმართ დიდი რყევაა, ციფრულ ვალუტებში კი სტაბილურობად აღიქმება.

სხვა ვალუტებიდანაც მხოლოდ ეთერიუმ კლასიკი გაიზარდა 13%-ით და იუ ქეში 45%-ით, რომელიც 1 დღის წინ 75%-ითაც გაიზარდა.

# რომელი ხეები ვერ გაიხარებს თბილისში?



50-ზე მეტი ჯიშის ხეს შორის, რომელიც თბილისის მერიამ რამდენიმე დღის წინ დაამტკიცა, შესაძლოა, რამდენიმე მათგანი თბილისის კლიმატური პირობებისთვის შეუსაბამო აღმოჩნდეს. როგორც თბილისის ბოტანიკური ბაღის მერქნიან მცენარეთა ინტროდუქციის განყოფილების გამგემ, სვეტლანა ხმალაძემ განმარტა, თბილისის მერიის მიერ შემოთავაზებულ სიაში მცენარეთა დიდი ნაწილის შენარჩუნება სწორი ადგილმდებარეობის შერჩევის შემთხვევაში შესაძლებელია, თუმცა სპეციალისტს რიგ სახეობებთან დაკავშირებით შენიშვნები აქვს.

მისი თქმით, დაახლოებით 10 სახეობის ხე-მცენარე, ძირითადად, ტენიანი კლიმატის მოყვარულია, ამიტომ თბილისის პირობებში მათი შენარჩუნება თითქმის შეუძლებელი იქნება. ასეთ სახეობებს წარმოადგენს ხე ტიტა, ხე მარწყვა, ჭნავი, ცირცელი, დასავლური ჭადარი, წითელი მუხა, თათრული ნეკერჩხალი, იაპონური ძელქვა, ვირჯინიანა, ამბრის ხე და, მათ შორის, კორპის მუხაც, რომლის ქალაქის პირობებისთვის შეგუების საკითხს სვეტლანა ხმალაძე ეჭვქვეშ აყენებს.

– პრიორიტეტულ ჩამონათვალში წარდგენილი ხეების ძირითადი ნაწილი ქალაქის გამწვანებაში ჩვენ უკვე გვაქვს, თუმცა სიაში გვხვდება ისეთი სახეობები, რომლებიც, თბილისის კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, ქუჩის გამწვანებაში საკმაოდ ძნელად გასახარებელია.

მაგალითად, ასეთია ხე ტიტა, ასევე დასავლური ჭადარი, რომლის ჰიბრიდული ფორმა, ნეკერჩხლისფოთოლა ჭადარი, ძალიან გავრცელებულია, ძირითადად ტენიან კლიმატში ხარობს და გვალვას მიჩვეული არ არის, – განმარტავს სვეტლანა ხმალაძე.

თბილისის მერიის მიერ წარმოდგენილი ხე-მცენარეების ჩამონათვალი გათვალისწინებულია როგორც ქალაქის ქუჩებზე, ისე სკვერებზე, თუმცა, როდესაც სახეობების შერჩევა ხდება, აქცენტი უნდა გაკეთდეს დაბლობი ადგილებისთვის და არა – ქალაქის შემოგარენისთვის შესაფერის ხე-მცენარეებზე.

– გამძლეობის თვალსაზრისით, კორპის მუხაც ეჭვქვეშაა, რადგან არც ყინვაგამძლეა და არც – გვალვაგამძლე, მთელი ქალაქის გამწვანებაში კი მისი მხოლოდ ერთი ეგზემპლარი გვხვდება. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ტერიტორიაზე ინვაზიურია და ადგილობრივ სახეობებს კონკურენციას უწევს, მას ინდივიდუალური მიდგომა და ადგილის სწორად შერჩევა ესაჭიროება.

მაგალითად, მისი დარგვა უმჯობესი სკვერებსა და პატარა პარკებში იქნება. ასევე, ეჭვქვეშ არის იაპონური ძელქვას საკითხი, რომელიც შეიძლება ჩვენი, ქართული ძელქვათი ჩავანაცვლოთ. ეს სახეობა ტენიანი რეგიონიდან, ტაივანიდან მოდის და სხვა კლიმატური პირობები ესაჭიროება. ასევე, ტროტუარებზე თათრული ნეკერჩხლის დარგვა შესაფერისი არ იქნება, მისი პარკებსა და სკვერებში ჯგუფებად დარგვა უმჯობესია, – განმარტავს სვეტლანა ხმალაძე.

მისი თქმით, ასევე მნიშვნელოვანია ზოგადად, მუხის საკითხი, რომლისთვისაც სწორი ადგილები უნდა შეირჩეს.



კორპის მუხა

## ავარია რუსთავში — ახალგაზრდა მამაკაცი მძიმე მდგომარეობაშია

13 თებერვალს, გვიან ღამით, რუსთავში, მესხიშვილის ქუჩაზე, ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა. თვითმხილველთა თქმით, 30 წლამდე




მამაკაცი მძიმედ დაშავდა.

„ნისანის“ მარკის მსუბუქი ავტომანქანის მძღოლი გადასასვლელზე ფეხით მიმავალ მამაკაცს შეეჯახა.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს.

## ბოდბისხევში საპირისპიროდ მოძრავი ავტომობილები ერთმანეთს შეეჯახნენ

სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოდბისხევში საპირისპიროდ მოძრავი ორი ავტომობილი ერთმანეთს შეეჯახა.




შემთხვევის შედეგად ორი ადამიანი დაშავდა.

მომხდართან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს.

## ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის საქმეზე 51-ე სკოლის დირექტორი და სასწავლო ნაწილი დაიკითხნენ

ხორავას ქუჩაზე მომხდარი მოზარდების მკვლელობის საქმესთან დაკავშირებით საქალაქო სასამართლოში 51-ე სკოლის დირექტორი და სკოლის სასწავლო ნაწილი დაიკითხნენ.

ადვოკატ ეკა მაჭარაშვილის თქმით, პროცესზე უნდა დაკითხულიყო სკოლის მანდატურიც, მაგრამ სამუშაო დღის დამთავრების გამო მისი დაკითხვა ვერ მოხერხდა.



– გუშინდელი პროცესი განახლდა მოწმის დაკითხვით, დასრულდა სასწავლო ნაწილის დაკითხვა, ასევე დაიკითხა 51 სკოლის დირექტორი, ასევე წარმოდგენილი იყო მანდატური, მაგრამ მისი დაკითხვა ვერ მოხერხდა, ვინაიდან დამთავრდა სამუშაო დრო. ასევე იმსჯელა სასამართლომ ახალი მტკიცებულებების დასაშვებობასთან დაკავშირებით და დასაშვებად იქნა ცნობილი, – აცხადებს მაჭარაშვილი.

## დოდო გუგეშაშვილის მეგობარი: „ვაპირებთ, შევატყობინოთ შვილის გარდაცვალების შესახებ. აუცილებლად უნდა დაიტიროს შვილი“

დოდო გუგეშაშვილს მისი შვილის გარდაცვალების შესახებ მეგობრები, სავარაუდოდ, დღეს შეატყობინებენ.




ამის შესახებ ღუდუშაურის კლინიკასთან ჟურნალისტებს დოდო გუგეშაშვილის მეგობარმა სამსონ ბრეგვაძემ განუცხადა.

– ვაპირებთ, რომ შევატყობინოთ შვილის გარდაცვალების შესახებ. გასვენება ხუთშაბათს არის დანიშნული და აუცილებლად უნდა დაიტიროს თავისი შვილი, – განაცხადა ბრეგვაძემ.

ამასთან, სამსონ ბრეგვაძემ დოდო გუგეშაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ დოდო გუგეშაშვილს რეანიმაციული განყოფილებიდან პალატაში დღეს არ გადაიყვანენ.

– მას პალატაში არ გადაიყვანენ. პალატაში გადაყვანა არ გვინდა, რადგან მეტი მნახველი გამოჩნდება. გვირჩევნია, წყნარად იყოს, – განაცხადა სამსონ ბრეგვაძემ.

## საქართველოს მთავარი პროკურატურა მიხეილ სააკაშვილის ექსტრადირებას ამჯერად პოლონეთისგან მოითხოვს

საქართველოს მთავარი პროკურატურის განცხადებით, ქვეყნის ყოფილ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებით პოლონეთის მხარისთვის უკვე მიმართული აქვთ და აღნიშნულ მიმართვას ძალაში ტოვებენ. ასე უპასუხეს მთავარ პროკურატურაში „ინტერპრესნიუსის“ შეკითხვას იმის შესახებ, მიმართავს თუ არა ქართული მხარე სააკაშვილის ექსტრადიციის მოთხოვნით ამჯერად პოლონეთის პროკურატურას.

მათივე განმარტებით, აღნიშნულ საკითხზე პროკურატურამ პოლონეთს ჯერ კიდევ გასული წლის 4 აგვისტოს მიმართა, როცა გავრცელდა ინფორმაცია, რომ სააკაშვილი ვარშავაში იმყოფებოდა.

– მიხეილ სააკაშვილის საკითხთან დაკავშირებით საქართველოს პროკურატურამ პოლონეთის კომპეტენტურ უწყებებს 2017 წლის აგვისტოში მიმართა, რის შესახებაც პროკურატურამ შესაბამისი ინფორმაცია გაავრცელა.




ძებნილ მსჯავრდებულ მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებით საქართველოს მთავარ პროკურატურას, როგორც ყველა სხვა ძებნილი პირის შემთხვევაში, კომუნიკაცია აქვს სხვადასხვა ქვეყნის კომპეტენტურ ორგანოსთან და ახორციელებს კანონით გათვალისწინებულ ყველა შესაბამის სამართლებრივ პროცედურას სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში. რაც შეეხება საქმის სხვა დეტალებს, სამართლებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე დამატებით კომენტარი არ გაკეთდება, – განაცხადეს პროკურატურაში.

ინფორმაციისთვის, 2017 წლის 4 აგვისტოს გავრცელებულ განცხადებაში მთავარი პროკურატურა აღნიშნავდა, რომ საქართველოს პროკურატურამ პოლონეთის მხარეს ინტერპოლის არხებით მიმართა.

პარალელურად, 4 აგვისტოს, საქართველოს მთავარმა პროკურატურამ მიხეილ სააკაშვილის საკითხთან დაკავშირებით მიმართა პოლონეთის რესპუბლიკის პროკურატურას. ამავე დღეს, 4 აგვისტოს, ვარშავის ინტერპოლის ეროვნულმა ცენტრალურმა ბიურომ მიიღო ქართული მხარის მიერ გაგზავნილი დოკუმენტაცია, რაც მათი მხრიდან დადასტურებულ იქნა თბილისის ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიუროს წარმომადგენელთან სატელეფონო საუბრისას.

## შეჩერდება თუ არა ატენის ქუჩაზე მიმდინარე მრავალსართულიანი კორპუსის მშენებლობა

დღეს გახდება ცნობილი, შეჩერდება თუ არა ატენის ქუჩაზე მიმდინარე მრავალსართულიანი კორპუსის მშენებლობა.




მშენებლობის შეჩერების მოთხოვნით სასამართლოს ატენის ქუჩის მოსახლეობამ მიმართა. მოსახლეობას სარჩელი მერიის წინააღმდეგ აქვს შეტანილი, რომლითაც ისინი მშენებლობაზე გაცემული მაღალი კოეფიციენტის გაუქმებას ითხოვენ.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ატენის ქუჩის მოსახლეობის ადვოკატმა დიმიტრი გაბუნიამ გუშინდელი პროცესის შემდეგ განუცხადა, მოსამართლე მშენებლობის შეჩერებაზე გადაწყვეტილებას მხარეებს ხვალ აცნობებს.

– დღეს, მესამე მხარემ, „ამხანაგობა ატენის 19“-ის წარმომადგენლებმა 2014 წელს გაცემული რამდენიმე ექსპერტიზის დასკვნა წარადგინეს, რომელიც სასამართლომ დასაშვებად ცნო და, შესაბამისად, ჩვენს მხარეს მიეცა უფლება, კონტრდასკვნები წარმოვადგინოთ. ყველაზე მთავარი არის ის, რომ ჩვენ ხვალ საღამოს, როგორც მოსამართლემ განგვიმარტა, გვეცოდინება პასუხი მშენებლობის შეჩერებასთან დაკავშირებით. აქ სასამართლომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება იმის თაობაზე, სიცოცხლის უფლებას ანიჭებს პრიორიტეტს თუ ბიზნესის კერძო ინტერესს. ყველა კანონითა და რიგით სასამართლომ უნდა შეაჩეროს მშენებლობის ნებართვა და, თუ ამას არ იზამს, ბუნებრივია, გვექნება საფუძვლიანი ეჭვი, რომ სასამართლოზე მოხდა გარკვეული ტიპის ზეწოლა, – განაცხადა დიმიტრი გაბუნიამ.

## გახშირებული ქურდობები ოზურგეთში — ლიხაურში რამდენიმე საცხოვრებელი სახლი გაქურდეს

ოზურგეთში ბოლო დღეების განმავლობაში რამდენიმე სახლი და მაღაზია გაიქურდა.

როგორც ჩვენთვის ხდება ცნობილი, სოფელ ლიხაურში რამდენიმე საცხოვრებელი სახლი გაქურდეს.

ჩვენი წყაროს ცნობით, სახლებიდან ძირითადად გააქვთ საკვები პროდუქტები და საყოფაცხოვრებო ნივთები, ერთ-ერთი სახლიდან კი წაღებული იყო სანადირო თოფი.

მომხდარზე პოლიციამ არასრულწლოვანი დაკითხა, რომელმაც აღიარა ჩადენილი დანაშაული და მოპარული ნივთი უკან დააბრუნა.



ჩვენთვის ასევე ცნობილი ხდება, რომ გახშირებულ ქურდობებთან დაკავშირებით რამდენიმე ახალგაზრდა პოლიციაში დაკითხვაზეც იმყოფებოდა.

გარდა ლიხაურისა, ბოლო დღეებში სასურსათო მაღაზია გაიქურდა სოფელ ჭანიეთსა და ნატანებში, გუშინ გვიან ღამით კი სოფელ შემოქმედში მაღაზიაში გამოძიებისთვის ჯერჯერობით დაუდგენელმა პირებმა ხელყუმბარა შეაგდეს.

ჰყავთ თუ არა სამართალდამცველებს ეჭვმიტანილები და რისთვის დაიკითხა რამდენიმე ახალგაზრდა? – შსს-ს პრესსამსახურში აცხადებენ, რომ ოზურგეთის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა ქურდობის ფაქტზე არასრულწლოვანი ამხილეს, რომელმაც საცხოვრებელი სახლის დამხმარე სათავსოდან საყოფაცხოვრებო ნივთები და სანადირო თოფი მოიპარა, რის შემდეგაც შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

## ბათუმში ახალგაზრდა ქალს მიკროავტობუსი დაეჯახა




ბათუმში, ალმაშენებლისა და აბუსერიძის ქუჩების კვეთაზე, მიკროავტობუსი ახალგაზრდა გოგოს დაეჯახა, რომელიც საავადმყოფოშია გადაყვანილი.

მომხდართან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე პირველი ნაწილით მიმდინარეობს, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს.

## ლანჩხუთში საბავშვო ბაღიდან საკვები პროდუქტები მოიპარეს



8 თებერვალს ქურდობა მოხდა ლანჩხუთში.

ნიგოითის ადმინისტრაციული ერთეულის, ჩოლობარგის საბავშვო ბაღიდან გამოძიებისთვის ჯერჯერობით დაუდგენელმა პირებმა საკვები პროდუქტები მოიპარეს.

– გიდასტურებთ ფაქტს, რომ ღამის საათებში საწყობიდან მოიპარეს საკვები პროდუქტები და მომხდარზე მიმდინარეობს გამოძიება, – გვითხრეს მერიის პრესსამსახურში.

შსს-ს პრესსამსახურის ცნობით, მომხდარზე გამოძიება სსკ 177-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ქურდობას გულისხმობს:

– მხილებულია ერთი პირი და მიმდინარეობს აქტიური სამძებრო სამუშაოები, – გვიპასუხეს პრესსამსახურში.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# თეთრმა სახლმა ნეთანიაჰუს სიტყვები უარყო



ისრაელის პრემიერმა ნეთანიაჰუმ განაცხადა, რომ ტრამპთან მდინარე იორდანეს დასავლეთით მდებარე მიწების ანექსიის საკითხი განიხილა.

თეთრმა სახლმა ეს ოფიციალურად უარყო.

– ამგვარი თემა არ განხილულა, – იტყობინება თეთრი სახლი.

# პუტინი ავად გახდა



რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი ავად გახდა. ამის თაობაზე პუტინის პრეს-მდივანი დიმიტრი პესკოვი იუწყება.

– ვლადიმერ ვლადიმიროვიჩი გაცივდა, თუმცა ეს მის სამუშაო გრაფიკზე არ აისახება. პრეზიდენტმა დონალდ ტრამპთან სატელეფონო მოლაპარაკებაც წარმართა, – ამბობს პესკოვი.

პუტინს უკვე წელიწადნახევარია თავის ტკივილები აწუხებს.

# მოლდოვაში რუსული ახალი ამბების ტრანსლირება ოფიციალურად აიკრძალა



მოლდოვაში, მიუხედავად პრეზიდენტ დოდონის წინააღმდეგობისა, ძალაში შევიდა კანონი, რომლის ძალითაც რუსული ახალი ამბების ტრანსლირება აიკრძალა. დოდონმა ამ გადაწყვეტილების დაბლოკვა ვერ შეძლო.

– კანონის დამრღვევთ მკაცრად დავსჯით, – აცხადებს პრემიერი პავლე ფილიპი.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# ეგვიპტეში 30 ტერორისტი გაანადგურეს



სინას ნახევარკუნძულის ჩრდილოეთ და ცენტრალურ ნაწილში მიმდინარე ფართომასშტაბიანი ანტიტერორისტული ოპერაციის ფარგლებში, ეგვიპტის არმიის დანაყოფებმა 30 მებრძოლი გაანადგურეს და 400-მდე ეჭვმიტანილი დააკავეს.

ამის შესახებ ნათქვამია ეგვიპტის შეიარაღებული ძალების მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

განცხადებაში ასევე აღნიშნულია, რომ დაკავებულებს შორის უცხოელებიც არიან.

ასევე განადგურებულია დაახლოებით 20 სატრანსპორტო საშუალება, რომელთაც ტერორისტები იყენებდნენ, ასევე მებრძოლთა საწყობები. ამასთან, აღმოჩენილი და გაუვნებელყოფილია 80-მდე ასაფეთქებელი მოწყობილობა.

სინას ნახევარკუნძულზე მიმდინარე ანტიტერორისტულ ოპერაციაში მონაწილეობენ შეიარაღებული ძალების დანაყოფები, შს სამინისტროს ძალები, ასევე სასაზღვრო, საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ძალები.

# ვენესუელაში უცნობმა პირმა კარნავალის 3 მონაწილე მოკლა, 5 კი დაჭრა



ვენესუელაში, ბოლივარის შტატში კარნავალის დროს მომხდარ სროლას 3 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.

ტრაგედია ელ-კალიაოს მუნიციპალიტეტში მოხდა. კარნავალის კოლონის მოძრაობის დაწყებიდან რამდენიმე წუთში უცნობმა პირმა კარნავალის მონაწილეთა მისამართით რამდენჯერმე გაისროლა, დაიღუპა 3 და დაიჭრა 5 ადამიანი.

დაჭრილები ჰოსპიტალში არიან გადაყვანილები. პოლიციას დამნაშავე ჯერ არ დაუკავებია.

# ისლამური სახელმწიფოს ლიდერი, ალ-ბაღდადი, ცოცხალია

## რას აცხადებს ერაყის დაზვერვა



ერაყის შსს-ს დაზვერვისა და ტერორიზმთან ბრძოლის განყოფილების ხელმძღვანელი აბუ ალი ალ ბასრის განცხადებით, ისლამური სახელმწიფოს ლიდერი, აბუ ბაქრ ალ-ბაღდადი, ცოცხალია და ჩრდილო-აღმოსავლეთ სირიაში, ერაყის საზღვართან ახლოს მდებარე ტერორისტული ორგანიზაციის კუთვნილ ჰოსპიტალში მკურნალობს.

დაზვერვის უფროსის განცხადებით, ისლამური სახელმწიფოს ლიდერმა ავიადარტყმების შედეგად მძიმე დაზიანებები მიიღო. მას მრავალჯერადი მოტეხილობები და ტრავმები აქვს ფეხებზე, რის გამოც დამოუკიდებლად გადაადგილება არ შეუძლია. ამასთან, იგი დიაბეტითაა დაავადებული.

ალ-ბაღდადი ისლამურ სახელმწიფოს 2014 წლიდან ხელმძღვანელობს. მედიაში არაერთხელ გავრცელდა ცნობა მისი დაღუპვის შესახებ. ბოლოს, ავიადარტყმების შედეგად, ალ-ბადადის განადგურების ინფორმაცია რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ 2017 წლის 16 ივნისს გამოაქვეყნა, თუმცა ამის დამადასტურებელი ფაქტები არ მოუყვანია.

**ნიუპოსტი**

კალეიდოსკოპი

# სტუდენტმა გოგონამ მეგობარ მამაკაცს ფულის კუპიურებისგან დამზადებული თაიგული აჩუქა

ტაილანდელმა სტუდენტმა გოგონამ ახალგაზრდა მამაკაცს აჩუქა თაიგული, რომელიც ფულის კუპიურებისგან იყო დამზადებული.

გოგონამ რამდენჯერმე ჰკითხა ყმაწვილს, თუ რას ისურვებდა დაბადების დღეზე.

– ის მპასუხობდა, რომ მისთვის რაიმე მამაკაცური მეყიდა, – განაცხადა გოგონამ, – არ ვიცი, ეს რას ნიშნავს და როგორ უნდა გამეხარებინა, ვინაიდან უამრავი რამ არსებობს და მაშინ ეს იდეა დამებადა თავში.

სტუდენტმა ბანკიდან 100 ათასი ბატი გამოიტანა, წვრილი ფულით და თაიგულების სპეციალისტს მიუტანა, რომელმაც კუპიურებისგან ყვავილების თაიგულის მსგავსი საჩუქარი დაამზადა. შემდეგ გოგონამ მეგობარ მამაკაცს რესტორანში მიაკითხა და უჩვეულო საჩუქარი გადასცა.

– ეს მისთვის დიდი სიურპრიზი გამოდგა, – ამტკიცებს გოგონა, – ის ამბობდა, რომ მას ძვირფასი საჩუქრები და ყოველგვარი ზედმეტობები არ სურდა. ეს უბრალოდ მისი კეთილი გულით იყო ნათქვამი, მე კი მსურდა მეჩვენებინა, თუ ის როგორი განსაკუთრებულია.

გოგონას თქმით, ასეთმა თაიგულმა უდიდესი შთაბეჭდილება არა მარტო მეგობარ მამაკაცზე, არამედ მასთან ერთად რესტორანში მყოფ მეგობრებზეც მოახდინა.



# ქურდებმა მარსის ქანდაკება კვარცხლბეკთან ერთად წაიღეს



დიდ ბრიტანეთში დამნაშავეებმა ქანდაკება ბეტონის კვარცხლბეკთან ერთად წაიღეს. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა ავრცელებს.

პოლიციამ „ჰერკულესის ძალის“ მქონე დამნაშავეებზე ძებნა გამოაცხადა, რომლებმაც ქალაქ ბრისტოლში ძველი რომაული ომის ღმერთის მარსის უზარმაზარი ქანდაკება მის კვარცხლბეკთან ერთად მოიპარეს. კერამიკული ქანდაკება გამოსახავდა მარსის თავს და ტანს. ის მისი მოქანდაკის, 57 წლის ლიუსიენ ლასალის ეზოში იდგა.

ქალს იმედი აქვს, რომ ქანდაკების ქურდობა, უბრალოდ, „ნამთვრალევი გართობა“ იყო და გამტაცებლები მას მალე დააბრუნებენ. მან ქანდაკება დაახლოებით ათი წლის წინ შექმნა და ის სხვა ქალაქიდან ჩამოიტანა.

– მართალია, ის მარსის ქანდაკებაა, მაგრამ ჩემთვის ის ომებში დაღუპულთა მემორიალს წარმოადგენს. ის ჩემთვის განსაკუთრებული ნამუშევარია და ამავდროულად სერიოზული ფინანსური დანაკარგიც, რადგანაც ის დაზღვეული არ ყოფილა, – აღნიშნა ლასალმა.

ამავე დროს, ამ ყოველივეს მიუხედავად მოქანდაკე აცხადებს, რომ ეამაყება, რომ მისი ქმნილების დასაუფლებლად ვიღაცამ ასეთი დიდი ძალისხმევა არ დაიშურა.

მისი თქმით, ქანდაკებას ერთი ადამიანი ვერაფრით ვერ ასწევდა და ვერაფრით გაუგია, თუ როგორ გადაიტანეს ღობეზე. მისი ეზოდან ასევე დაკარგულია საბაღე ურიკაც.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**



# განცხადებები

**გთავაზობთ სამსახურს**

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართა პრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

●კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

**მალამო ძვალ-სახსართა დაავადებების სამკურნალოდ**

მკურნალი ნანა პაიჭაძე საგვარეულო მალამოთი ეფექტურად მკურნალობს შემდეგ დაავადებებს: რადიკულიტს, ოსტეოქონდროზს, კისრის, მენჯ-ბარძაყის, მუხლსახსრის ართროზს, დისკოზს, ნერვის ანთებას, კიდურების სიცივეს, დაბუჟებას, ფეხის ტერფისა და ქუსლების ტკივილს, ჰაიმორიტს. ქალბატონი ნანას პაციენტთა შორის არიან ცნობილი ადამიანები – აკადემიკოსი ანზორ შავგულიძე, პროფესორი რეზო ჯაბნიძე, მსახიობი ჯემალ ღაღანიძე, ტელეწამყვანი გიორგი გოგიჩაიშვილი და მრავალი სხვა. მის: თევდორე მღვდლის 48, ტელ: 599-54-64-81; 593-00-08-26.

# 141 ქვეყანაში ფეხბურთი ყველაზე პოპულარულია

სპორტის სტატისტიკის საერთაშორისო სამსახურმა ყველაზე მასშტაბური გამოკითხვა ჩაატარა, რომლის მიზანი სპორტის ყველაზე პოპულარული სახეობის გამოვლენა გახლდათ. გამოკითხვა მთელი მსოფლიოს მასშტაბით ჩატარდა – 191 ქვეყანაში.

როგორც მოსალოდნელი იყო, სპორტის ყველაზე პოპულარული სახეობა ფეხბურთია, რომელიც დიდი უპირატესობით უსწრებს სხვა სახეობებს. 191 ქვეყნიდან ფეხბურთი ყველაზე პოპულარული 141 ქვეყანაშია.

გამოკითხვის შედეგად, სპორტის ყველაზე პოპულარული სახეობა არ გამოვლინდა 20 ქვეყანაში. სტატისტიკის მიხედვით, ხმები თანაბრად გადანაწილდა და სპორტის ვერც ერთმა სახეობამ მნიშვნელოვანი უპირატესობა ვერ მოიპოვა.

ამ ქვეყნების ჩამონათვალი ასეთია: ანდორა, არუბა, ბაჰრეინი, ბერმუდა, ბრუნეი, კაბო ვერდე, კაიმანის კუნძულები, კომორის კუნძულები, კვიპროსი, ჰონგ კონგი, ლიხტენშტეინი, მალდივი, მალტა, მავრიკი, მონაკო, ახალი კალედონია, რეიუნიონი, სამოა, სოლომონის კუნძულები, ვანუატო.

იმ ქვეყნების ჩამოთვლა, სადაც ფეხბურთი სპორტის პირველი სახეობაა, ძალიან შორს წაგვიყვანს. ფეხბურთი აშკარა ლიდერია ევროპაში, აფრიკაში, აზიასა და სამხრეთ ამერიკაში. ფეხბურთის პოპულარობა წლიდან წლამდე იზრდება და ეს პროცესი თითქოს შეუქცევადია. შედეგად, სპორტის უპირველეს სახეობაში კოლოსალური ფული იდება – ფეხბურთი გახდა დიდი ინდუსტრია და, ამავდროულად, უდიდესი სოციალური მოვლენა მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

ვნახოთ, რა ხდება სპორტის სხვა სახეობებში, რომლებიც მცირე ნაწილშია პოპულარული.

კრიკეტი 9 ქვეყანაშია ყველაზე მნიშვნელოვანი. ესენია: ანტიგუა და ბარბუდა, ბანგლადეში, გრენადა, გაიანა, ინდოეთი, იამაიკა, პაკისტანი, შრი ლანკა, ტრინიდადი.

სპორტის ეს ეგზოტიკური სახეობა კარგად არის განვითარებული სამხრეთ აზიაში და განსაკუთრებით პოპულარულია ინდოეთში, შრი ლანკაში, ბანგლადეშსა და პაკისტანში. აღსანიშნავია, რომ ამ ქვეყნების მოსახლეობის ჯამი მილიარდნახევარს აღწევს. კრიკრეტი სპორტის ტრადიციულ სახეობად ითვლება ინგლისშიც, პოპულარობით რაგბის აღემატება და მხოლოდ ფეხბურთს ჩამორჩება.



ბეისბოლით 7 ქვეყანაა ყველაზე მეტად დაინტერესებული: კუბა, დომინიკის რესპუბლიკა, იაპონია, ნიკარაგუა, პანამა, ტაივანი, ვენესუელა.

ბეისბოლის დიდი კულტურაა ამერიკაში, თუმცა სპორტის ეს სახეობა პოპულარობით ამერიკულ ფეხბურთს ჩამორჩება. სამაგიეროდ, ბეისბოლი ლიდერია იაპონიაში. ამომავალი მზის ქვეყანაში სპორტის ამ სახეობას დიდი ისტორია და ტრადიციები აქვს.

ბოლო წლებში ფეხბურთმა იაპონიაშიც დიდი პროგრესი განიცადა და მიუახლოვდა ბეისბოლს, თუმცა ჯერ მაინც მეორე ადგილს იკავებს. ბეისბოლი დიდი პოპულარობით სარგებლობს ვენესუელაშიც. არადა, სამხრეთ ამერიკის სხვა ქვეყნებში ფეხბურთი აშკარა ფავორიტია.

არის კიდევ 5 ქვეყანა, სადაც სპორტის სახეობები ლიდერობენ, რომლებიც სხვა ქვეყნებში არ სარგებლობენ პოპულარობით. ამერიკაში ამერიკული ფეხბურთი, ავსტრალიაში ავსტრალიური ფეხბურთი, ირლანდიაში კი ირლანდიური, იგივე გალური ფეხბურთი. მონღოლეთში ჭიდაობას ყველაზე მეტი მაყურებელი ჰყავს, კამბოჯაში კი – ფრენბურთს...

რაგბის 3 ქვეყანაში ტოლ-სწორი არ ჰყავს: ახალი ზელანდია, ფიჯი, პაპუა-ახალი გვინეა.

რაგბი ახალზელანდიელების თამაშია. ყველაზე წარმატებული სარაგბო გუნდი, ოლ ბლექსი, სპორტის ამ სახეობის მთავარი დესპანია მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

რაგბი დიდი პოპულარობით სარგებლობს ავსტრალიასა და სამხრეთ აფრიკაში, თუმცა ყველაზე პოპულარული ნამდვილად არ არის. ავსტრალიაში ავსტრალიურ ფეხბურთს უფრო მეტი მაყურებელი ჰყავს, ხოლო სამხრეთ აფრიკაში ბევრისთვის მოულოდნელად, ხმების უმრავლესობა ფეხბურთმა მიიღო, მეორე ადგილზე კი კრიკეტი გავიდა. როგორც ჩანს, 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატმა თავისი საქმე გააკეთა.

ჰოკეიც 3 ქვეყანაშია პოპულარული: კანადა, ფინეთი, ლატვია.

ყინულის ჰოკეი დიდი პოპულარობით სარგებლობს სკანდინავიურ ქვეყნებში. გასული საუკუნის 70-იან წლებამდე სპორტის ეს სახეობა ყველაზე პოპულარული იყო შვედეთში, თუმცა დროთა განმავლობაში ლიდერის პოზიცია ფეხბურთმა დაიკავა. მაგრამ დარჩა ერთი სკანდინავიური ქვეყანა, სადაც ჰოკეი ჯერ კიდევ ინარჩუნებს პირველობას და ეს ქვეყანა ფინეთია.

ჰოკეის განსაკუთრებულად აფასებენ ლატვიაში, თუმცა სპორტის ეს სახეობა ყველაზე მეტად კანადასთან ასოცირდება; კანადა არის ის ქვეყანა, სადაც ჰოკეი უპირობო ლიდერია.

იყო დრო, როდესაც რუსეთში ჰოკეი ფეხბურთს უწევდა კონკურენციას, თუმცა ბოლო წლებში ფეხბურთის მოყვარულთა რიცხვმა მკვეთრად იმატა და რუსეთში ჩატარებული გამოკითხვის შედეგად, ფეხბურთმა დიდი უპირატესობით აჯობა მეორე ადგილზე გასულ ყინულის ჰოკეის.

კალათბურთიც 3 ქვეყანას „იპყრობს“: ლიტვა, ესტონეთი, ფილიპინები.

კალათბურთი ამერიკასთან და ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციასთან ასოცირდება, მაგრამ რეალობას ვერსად გავექცევით: აშშ-ში კალათბურთი პოპულარობით მხოლოდ მესამე ადგილზეა და ჩამორჩება როგორც ამერიკულ ფეხბურთს, ისე ბეისბოლს. სპორტის ერთ-ერთი ყველაზე სანახაობრივი სახეობა ყველაზე პოპულარულია მხოლოდ 3 ქვეყანაში. აქედან ერთი ლიტვაა. როგორც გამოკითხვამ აჩვენა, სპორტის ეს სახეობა ძალიან უყვართ ესტონეთსა და ფილიპინებზე.

## გოლდენ სტეიტმა ფინიქსს მზე დაუბნელა



გოლდენ სტეიტმა კრიზისი დაძლია და ისევ ჩვეულ ფორმაში შევიდა. „მეომრებმა“ ზედიზედ მესამე მატჩი მოიგეს. ამჯერად, უორიორსის მსხვერპლი ფინიქსელი მზეები იყო, რომელიც ძალიან ადვილად, 46-ქულიანი სხვაობით, 129:83 დაამარცხა. თანაც, მწვრთნელის გარეშე – სტივ კერიმ კალათბურთელების მატჩის წინ განუცხადა, რომ თავად მიეხედათ საქმისთვის და გოლდენ სტეიტს დეიმონდ გრინი, ანდრე იგუოდალა და დავიდ ვესტი „წვრთნიდნენ“. ჰო, გრინსაც არ უთამაშია.

ზაზა ფაჩულიამ, ცხადია, სასტარტო შემადგენლობაში დაიწყო და პარკეტზე 16 წუთი დაჰყო. ჩვენებურმა ამ დროის განმავლობაში მხოლოდ 4 ქულა მოიპოვა, მაგრამ 6 მოხსნა, 5 პასი, თითო ჩაჭრა-დაფარებაც ჰქონდა აქტივში. ზაზამ ოთხიდან ორი 2-ქულიანი ჩააგდო.

პირველი პერიოდი გოლდენ სტეიტმა მხოლოდ 1-ქულიანი სხვაობით (25:24) მოიგო და უპირატესობა მომდევნო მეოთხედებში გაზარდა. უორიორსმა მეორე პერიოდი 37:21 მოიგო და შესვენებისთვის უკვე საბოლოოდ ცხადი გახდა, რომ ფინიქსს ამ შეხვედრაში წარმატების მიღწევის შანსი არ ჰქონდა. გოლდენ სტეიტმა საბოლოოდ 46-ქულიანი უპირატესობით მოიგო.

გოლდენ სტეიტი დასავლეთში კვლავ დამაჯერებლად ლიდერობს, ფინიქსი კი კონფერენციაში ბოლოსწინა ადგილზეა და მხოლოდ საკრამენტოს უსწრებს. ფაჩულიას გუნდი მომდევნო შეხვედრას 15 თებერვალს პორტლენდთან გამართავს.

## ლუიშ ფიგუ: „ჯერ რონალდუსა და ნეიმარს ნუ შევადარებთ“



პორტუგალიის ნაკრების ყოფილმა ფეხბურთელმა, ოქროს ბურთის მფლობელმა ლუიშ ფიგუმ, ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალის ყველა დამაინტრიგებელი წყვილის, რეალისა და პსჟ-ს მატჩის წინ საკუთარი აზრი დააფიქსირა.

**ლუიშ ფიგუ:**

– ძალიან სანახაობრივ შეხვედრებს ველი, ვინაიდან ერთმანეთს 2 უძლიერესი გუნდი შეხვდება. ჩემი სიმპათია, რა თქმა უნდა, რეალისკენ იხრება, რადგან ამ გუნდს ბევრი რამ მაკავშირებს. ჩემი მეგობარი ზიზუ წარმატებას იმსახურებს. რეალში თამაში ნებისმიერი ფეხბურთელისთვის უდიდესი პასუხისმგებლობა, მოტივაცია და ბედნიერებაა. „სამეფო კლუბში“ გადასვლა ყოველთვის ნიშნავს წინსვლას, მათ შორის ნეიმარისთვისაც. თუ ბრაზილიელი ამ გადაწყვეტილებას მიიღებს, ის მსოფლიოს საუკეთესო კლუბს შეუერთდება.

რონალდუს არავისთან არაფერი აქვს დასამტკიცებელი. ჩემი თანამემამულე უკვე 5-ჯერ დაეუფლა ოქროს ბურთს, კოლექტიურ ტიტულებზე კი საუბარს არ დავიწყებ. ინდივიდუალური ჯილდოებით ისედაც ყველაფერია ნათქვამი.

ნეიმარი თუ რონალდუ? ამ ეტაპზე შედარებაც კი რთულია. ჩვენ საუბარი გვიწევს ოქროს ბურთის ხუთგზის მფლობელსა და პსჟ-ს ლიდერზე.

## ილიას ზუროსი ავსტრიაზე ფიქრობს



23 და 25 თებერვალს საქართველოს კალათბურთელთა ნაკრები მსოფლიოს 2019 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩებს გამართავს ავსტრიასთან და გერმანიასთან. შეგახსენებთ, რომ ზუროსის გუნდმა ჯგუფის საწყისი 2 შეხვედრა, სტუმრად გერმანიასა (70:79) და სერბეთთან (87:105) დათმო და ამჟამად მესამე ადგილზეა.

ფიბას ვებგვერდზე გამოქვეყნდა ჩვენი და ავსტრიის ნაკრებების პუბლიკაციები.

საქართველოს ნაკრებს სოლიდური დანაკლისი აქვს. ფიბასა და ევროლიგის დაულაგებლობის გამო ნაკრებში წამოსვლას ვერ ახერხებს ბასკონიელი თორნიკე შენგელია, ხოლო უნიკახელი გიორგი შერმადინის ნაკრებში თამაშის შანსი მიზერულია. გიორგის გუნდს 22 თებერვალს ესპანეთში თამაში ელის. ტრავმები ცალკე თემაა და ამ მიზეზით ქართველებს დუდა სანაძე ხომ დააკლდებათ და დიდი შანსია, ვერ ითამაშონ ვერც მანუჩარ მარკოიშვილმა და ვერც გიორგი ცინცაძემ.

ილიას ზუროსი, საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი:

– თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ იმ რესურსით, რომელიც საკვალიფიკაციო ტურნირის სტარტზე გვქონდა, მაქსიმუმი გავაკეთეთ. კარგი ისაა, რომ ამ მატჩებში რამდენიმე ახალი სახე გამოჩნდა. თავი გამოიჩინეს ახალგაზრდებმაც, რომელთაც გუნდში დებიუტი ჰქონდათ ანაც მანამდე ძალიან მცირე დრო ეძლეოდათ. ამ ბიჭებს საკმარისი დრო აქვთ, რათა თამაში გააუმჯობესონ და ნაკრებისთვის უფრო სარგებლიანები გახდნენ.

ჩვენთვის ყველაზე მძიმე ავსტრიასთან შეხვედრაა. ვიცით, რომ ჯგუფში 1 გუნდი რჩება და მჯერა, რომ საქართველო აუტსაიდერობას არ იმსახურებს. ცუდი ისაა, რომ ტრავმების გამო ბევრი მნიშვნელოვანი მოთამაშე გვაკლია. გერმანიასთან მატჩზე საუბარი ნაადრევად მიმაჩნია. მათ ძალიან კარგი გუნდი ჰყავთ, რომელსაც კვალიფიციური მოთამაშეები არ აკლია. თუნდაც, მიუნხენის ბაიერნის კალათბურთელები ავილოთ და მაინც, მთავარი ავსტრიაა. უმთავრესი მიზანი მათთან გამარჯვებაა.

მატიას ზოლნერი, ავსტრიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი:

– გაცილებით უკეთ უნდა ვითამაშოთ, ვიდრე პირველი სანაკრებო ფანჯრის დროს. რთულია იმის თქმა, ჩვენი მეტოქეები როგორი შემადგენლობებით ჩამოვლენ. მთავარია, ჩვენს გარჯაზე ვიყოთ ფოკუსირებულნი. კარგად გვესმის, რომ საქართველოსთან მატჩი გადამწყვეტია. თუკი ეს შეხვედრა მოვიგეთ, სერბეთთან სათამაშოდ უფრო თავისუფლად გავალთ და შებოჭილები არ ვიქნებით. ამ მატჩებში ფავორიტები არ ვართ, მაგრამ ვეცდებით, ქომაგები გავახაროთ.

## სიტიმ ტრანსფერებში ყველაზე მეტი დახარჯა

სპორტულმა კვლევითმა ორგანომ ევროპის წამყვან 5 ჩემპიონატში მოთამაშე კლუბების ტრანსფერები შეისწავლა და დაადგინა, თუ რომელმა მათგანმა რამდენი გადაიხადა იმ ფეხბურთელებში, რომლებშიც გუნდში ახლა თამაშობენ.

გაირკვა, რომ ამჟამინდელი გუნდის შესადგენად ყველაზე მეტი, 878 მილიონი ევრო, მანჩესტერ სიტიმ დახარჯა. მას 805 მილიონით პარი სენ ჟერმენი მოსდევს. მე-3 ადგილზე 747 მილიონით მანჩესტერ იუნაიტედია.

ბარსელონა, რომელიც ბოლო წლებში საკუთარი სკოლის აღზრდილი ფეხბურთელებით იწონებდა თავს, უსმან დემბელესა, ფილიპე კოუტინიოსა და პაულინიოს ძვირადღირებული ტრანსფერების შემდეგ 725 მილიონი ევროთი მე-4 ადგილს იკავებს.

შემდეგ მოდიან: ჩელსი – 592 მილიონი; რეალი – 497 მილიონი; ლივერპული – 461 მილიონი; იუვენტუსი – 448 მილიონი; არსენალი – 403 მილიონი; ევერტონი – 365 მილიონი.

## შედეგები

### 12 თებერვალი

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ჩელსი-ვესტ ბრომვიჩი ..................... 3:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 27 | 23 | 3 | 1 | 79-20 | 72 |
| 2.მანჩესტერი | 27 | 17 | 5 | 5 | 51-19 | 56 |
| 3.ლივერპული | 27 | 15 | 9 | 3 | 61-31 | 54 |
| 4.ჩელსი | 27 | 16 | 5 | 6 | 49-23 | 53 |
| 5.ტოტენჰემი | 27 | 15 | 7 | 5 | 52-24 | 52 |
| 6.არსენალი | 27 | 13 | 6 | 8 | 51-36 | 45 |
| 7.ბარნლი | 27 | 9 | 9 | 9 | 21-24 | 36 |
| 8.ლესტერი | 27 | 9 | 8 | 10 | 39-40 | 35 |
| 9.ევერტონი | 27 | 9 | 7 | 11 | 32-46 | 34 |
| 10.ბორნმუთი | 27 | 8 | 7 | 12 | 31-41 | 31 |
| 11.უოტფორდი | 27 | 8 | 6 | 13 | 37-47 | 30 |
| 12.ვესტ ჰემი | 27 | 7 | 9 | 11 | 34-46 | 30 |
| 13.ნიუკასლი | 27 | 7 | 7 | 13 | 25-36 | 28 |
| 14.ბრაიტონი | 27 | 6 | 10 | 11 | 22-36 | 28 |
| 15.კრ.პალასი | 27 | 6 | 9 | 12 | 25-42 | 27 |
| 16.სუონსი | 27 | 7 | 6 | 14 | 20-37 | 27 |
| 17.ჰადერსფილდი | 27 | 7 | 6 | 14 | 23-47 | 27 |
| 18.საუთჰემპტონი | 27 | 5 | 11 | 11 | 28-40 | 26 |
| 19.სტოკი | 27 | 6 | 7 | 14 | 27-53 | 25 |
| 20.ვესტ ბრომვიჩი | 27 | 3 | 11 | 13 | 21-40 | 20 |

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

დეპორტივო-ბეტისი ..................... 0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 23 | 18 | 5 | 0 | 60-11 | 59 |
| 2.ატლეტიკო | 23 | 15 | 7 | 1 | 34-9 | 52 |
| 3.ვალენსია | 23 | 13 | 4 | 6 | 45-27 | 43 |
| 4.რეალი | 22 | 12 | 6 | 4 | 50-23 | 42 |
| 5.ვილიარეალი | 23 | 11 | 4 | 8 | 34-28 | 37 |
| 6.სევილია | 23 | 11 | 3 | 9 | 29-34 | 36 |
| 7.ეიბარი | 23 | 10 | 5 | 8 | 32-34 | 35 |
| 8.ბეტისი | 23 | 10 | 3 | 10 | 38-45 | 33 |
| 9.სელტა | 23 | 9 | 5 | 9 | 41-34 | 32 |
| 10.ხირონა | 23 | 8 | 7 | 8 | 31-30 | 31 |
| 11.ხეტაფე | 23 | 7 | 9 | 7 | 26-21 | 30 |
| 12.ლეგანესი | 22 | 8 | 5 | 9 | 20-22 | 29 |
| 13.ბილბაო | 23 | 6 | 10 | 7 | 24-25 | 28 |
| 14.სოსიედადი | 23 | 7 | 5 | 11 | 43-45 | 26 |
| 15.ესპანიოლი | 23 | 6 | 8 | 9 | 21-31 | 26 |
| 16.ალავესი | 23 | 8 | 1 | 14 | 21-33 | 25 |
| 17.ლევანტე | 23 | 3 | 11 | 9 | 21-35 | 20 |
| 18.ლას პალმასი | 23 | 5 | 3 | 15 | 17-50 | 18 |
| 19.დეპორტივო | 23 | 4 | 5 | 14 | 24-52 | 17 |
| 20.მალაგა | 23 | 3 | 4 | 16 | 14-36 | 13 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ზ.პაული-ნიურნბერგი ..................... 0:0

**იტალია. სერია ბ**

პალერმო-ფოჯა ..................... 1:2

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

ოსერი-ნიმი ..................... 0:0

**პორტუგალია. პრემიერ ლიგა**

მორეირენშე-ეშტორილი ..................... 1:2

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

პაოკი-ლარისა ..................... 3:0

**თურქეთი. სუპერლიგა**

გალათასარაი-ანთალია ..................... 3:0

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

პიასტი-იაგელონია ..................... 0:2

**დანია. სუპერლიგა**

ჰობრო-ორხუსი ..................... 0:1

*მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა*

## ამერიკელ მოსწავლე გოგონებს ბიჭებისთვის ცეკვაზე უარის თქმა აუკრძალეს



ერთ-ერთმა ამერიკელმა მშობელმა სკოლას იმისთვის უჩივლა, რომ მან მის ქალიშვილს ბიჭებისთვის ცეკვაზე მიწვევისთვის უარის თქმა აუკრძალა.

ნატალი რიჩარდმა, იუტას შტატიდან, აღნიშნული წესის შესახებ მაშინ შეიტყო, როდესაც თავის 12 წლის გოგონასთან წმინდა ვალენტინობისთვის მოწყობილ საღამოზე მსჯელობდა. გოგონამ მას უთხრა, რომ მასწავლებლებმა მას უბრძანეს, რომ უარი არ ეთქვა ბიჭებისთვის, თუ რომელიმე მას საცეკვაოდ მიიწვევდა. ქალმა ჯერ იფიქრა, რომ მისმა ქალიშვილმა რაღაც ვერ გაიგო და საკითხის გასარკვევად სკოლას მიმართა, მაგრამ იქ ასეთი აკრძალვის არსებობა დაუდასტურეს.

— მასწავლებელმა მიპასუხა, რომ მას უარის თქმის უფლება არ აქვს და ვალდებულია, ბიჭს საცეკვაოდ გაჰყვეს, — განაცხადა რიჩარდმა. ამის შემდეგ ის სკოლის დირექტორთან მივიდა, მაგრამ მან ამ პირობის არსებობა დაუდასტურა. მოგვიანებით კი სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ ეს წესი იმისთვის იქნა შემოღებული, რომ ბავშვებმა ტოლერანტობა ისწავლონ.

რიჩარდის უკმაყოფილება სხვა მშობლებმაც გაიზიარეს და სკოლის პოლიტიკას „საშინელი და გოგონების პიროვნების უპატივცემულობა" უწოდეს.

მიუხედავად მშობლების უკმაყოფილებისა, სკოლა ამ წესის შეცვლას არ აპირებს.

## ოლიმპიური ვეფხვის თავი კარის ჭრილში ვერ გაეტია



ზამთრის ოლიმპიადის თილისმა თეთრი ვეფხვი სუხორანი გასეირნების დროს კარში გაიჭედა. ამ ფაქტმა ინტერნეტ-მომხმარებლები გაამხიარულა.

ადამიანმა, რომელსაც ოლიმპიადის თილისმის კოსტუმი ეცვა, დიდი თავის გამო კარის ჭრილში გასვლა ვერ მოახერხა. მისი გაყვანა დამხმარეებმა დიდი ძალისხმევის შედეგად მოახერხეს.

ტვიტერის მომხმარებლები ასევე მეტად გაამხიარულა სუხორანის უჩვეულო საცეკვაო მოძრაობებმა.

აღსანიშნავია, რომ ფუმფულა სათამაშო სუხორანებს ოლიმპიური თამასების ყველა მედალოსანს ყვავილების ნაცვლად გადასცემენ. ოლიმპიურმა კომიტეტმა ყვავილების თაიგული მალფუჭებადად და გარემოსთვის ზიანის მიმყენებლად მიიჩნია, ამიტომ 2016 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების შემდეგ ყვავილების გადაცემის ტრადიცია შეიცვალა.

## პითონებმა სასიყვარულო თამაში ტაფაზე დაასრულეს



მალაიზიელებმა ექვსმეტრიანი მდედრი პითონი მამრთან შეჯვარების დროს დაიჭირეს, შემდეგ ქვეწარმავლები შეწვეს და შეჭამეს. ამ მოვლენის ამსახველი ვიდეოჩანაწერი ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

კვირას კუნძულ ბორნეოს მცხოვრებლები სანადიროდ გაემართნენ. გზაში მათ უცნაური ხმები მოესმათ, რომელიც ძველი მორიდან ისმოდა. მათ მორი ბენზოხერხით გაჭრეს და შიგნით შეჯვარების პროცესში მყოფი ორი გველი აღმოაჩინეს. ერთ-ერთის სიგრძე ექვს მეტრს შეადგენდა. მათ ასეთი ნანადირევი დიდ წარმატებად ჩათვალეს, ვინაიდან ისინი პითონის ხორცს დელიკატესად მიიჩნევენ.

ერთ-ერთმა მონადირემ, 60 წლის ტინსუნ უხანმა განმარტა, რომ ნანადირევის ტყიდან გამოტანა არც ისეთი ადვილი იყო, მისი ზომების გამო, გარდა ამისა, გველები ერთმანეთს იყვნენ ჩახვეულები, რამაც მათი ტრანსპორტირება უფრო მეტად გაართულა.

პითონების ხორცი სოფლის ყველა მცხოვრებს და ახლომდებარე ფერმის მუშებს დაურიგეს, რომლებიც მონადირეებს დიდი პატივით შეეგებნენ. პითონების ხორცი ტაფაზე ბოსტნეულთან ერთად მოამზადეს და ბრინჯთან ერთად მიირთვეს.

## ზვიგენებმა კუს შეჭმა ცადეს, მაგრამ მას ვერაფერი დააკლეს



ავსტრალიაში ზვიგენები შეეცადნენ პირი კუს ხორცით ჩაეტკბარუნებინათ, მაგრამ მის ჯავშანს ვერაფერი დააკლეს. ამ მოვლენის ამსახველი ვიდეოჩანაწერი ადგილობრივ პრესაში გამოქვეყნდა.

ვიდეორგოლი ნავით მოსეირნე ადგილობრივმა ერთ-ერთმა მცხოვრებმა გადაიღო. ისინი „კლასიკური ზღვის ცხოვრებით" დატკბობას აპირებდნენ, როდესაც შემთხვევით აღმოაჩინეს ზვიგენები იმ ადგილას, სადაც ჩვეულებრივ სკატები დაცურავდნენ. შორიდან მათ მტაცებელი თევზები დელფინებად მიიჩნიეს, ამიტომ გადაწყვიტეს, უფრო ახლოს მიეცურათ.

ადგილზე მისულებმა ნახეს, რომ კუს გარშემო ოთხი ვეფხვისებრი ზვიგენი დაცურავდა. ისინი ოთხი საათის განმავლობაში იღებდნენ ამ მოვლენას. ამ დროის განმავლობაში ორმა ზვიგენმა კუს ხორცის გასინჯვის იმედი დაკარგა და იმ ადგილს მოშორდნენ. ბოლოს და ბოლოს კუმ სხვა მიმართულებით გაცურა და მას დარჩენილი ორი ზვიგენიც მიჰყვა. ვიდეოს ავტორმა აღიარა, რომ არ იცის, მოახერხა თუ არა ზვიგენების კბილებიდან თავის დაღწევა ზღვის კუმ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

საზოგადოება

## ჭერემის წმინდა გიორგის ეკლესიას კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი მიენიჭა



გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭერემში მდებარე გვიან შუა საუკუნეების წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიას კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დირექტორის, ნიკოლოზ ანთიძის შესაბამისი ბრძანებით კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი მიენიჭა.

ჭერემის წმინდა გიორგის ეკლესია შუა სოფელში დგას, საეპისკოპოსო ტაძრის ჩრდილოეთით რამდენიმე მეტრში. ის დარბაზული ნაგებობაა. აშენებულია ნატეხი ქვით. შესასვლელი სამხრეთიდან და დასავლეთიდან აქვს. დასავლეთის კარი შიგნიდანაც და გარედანაც არქიტრავული გადახურვით სრულდება. მოგვიანებით კარის ჭრილი დაუვიწროვებიათ. სამხრეთის კარი ამჟამად ამოშენებულია. საკარე ღიობი კედლის ჩაღრმავებაშია გაკეთებული, რომელიც შეკიდულ იმპოსტებზე გადასული თაღით სრულდება. თაღს ქვემოთ ტიმპანია ჩასმული, რომელზეც ჯვარი და გრეხილი ლილვია მოცემული. ტაძარს აღმოსავლეთით, დასავლეთით და ჩრდილოეთით თითო, ხოლო სამხრეთით ორი თაღოვანი სარკმელი აქვს. აღმოსავლეთით ნახევარწრიული აბსიდია, რომელიც მხრებითაა გამოყოფილი დარბაზისგან. მათზე გადასულ თაღს კონქი ეყრდნობა. აბსიდის ღერძზე ერთი სარკმელია გაჭრილი, რომლის ჩრდილოეთით ორი, სამხრეთით ერთი, ხოლო სარკმლის ქვეშ ასევე ერთი ნიშაა. საკურთხეველი ერთი საფეხურითაა ამაღლებული. ჩრდილოეთის და სამხრეთის კედლებზე ორი წყვილი ორსაფეხურიანი პილასტრია, რომელთა განაპირა საფეხურიდან კედლის დეკორატიული თაღები გადადის, შუა საფეხურს კი კამარის საბჯენი თაღები ეყრდნობა. წყვილი პილასტრი დასავლეთის კუთხეებშიცაა, რომლებზეც დასავლეთის კედლის მიმდებარე საბჯენი თაღია გადაყვანილი. პილასტრები და პროფილირებული კაპიტელები ნათალი ქვითაა გაკეთებული. კონქი გაჯითაა გალესილი. სამხრეთის თაღედებში კარ-სარკმლებია გაჭრილი.

ტაძრის ორფერდა სახურავის დასავლეთ ნაწილში სამრეკლო ყოფილა დაშენებული. ახლა ის მოშლილია. ტაძრის მორთულობა მწირია, დასავლეთ კედელში სარკმლის ჭრილი ლუნეტის და მის თავზე მოცემული რელიეფური ჯვრითაა გაფორმებული, აღმოსავლეთის ფასადში სარკმლის თავზე რელიეფური ჯვარია, სამხრეთის კედლის მორთულობა კი კარის ტიმპანია.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

სპორტი

## ალეგრის შემდეგ გატუზო მილანისთვის ყველაზე წარმატებული მწვრთნელია



მართალია, ჯენარო გატუზომ მილანის თავკაცობა ცუდად და უიღბლოდ დაიწყო, მაგრამ ფაქტია, მისი ხელი გუნდს ნამდვილად დაეტყო. „როსონერის" 23 დეკემბრის შემდეგ არ წაუგია და ყველა ტურნირზე ერთად ჩატარებული ბოლო 8 მატჩიდან 5 მოიგო, 3 კი ფრედ დაასრულა.

„როსონერიმ" ბოლო წლებში რომ უამრავი მწვრთნელი გამოიცვალა, ეს ინფორმაცია ყველასთვის კარგად ცნობილია. აი, საინტერესო ფაქტი კი ისაა, რომ ამ მწვრთნელებს შორის მისტერ რინომ უკვე დააფიქსირა საუკეთესო შედეგი.

მასიმილიანო ალეგრიმ მილანში მუშაობის პერიოდში (2010-14) ყველაზე დიდი, 10-მატჩიანი წაუგებელი სერია (ყველა ტურნირზე ერთად) დააფიქსირა, მის შემდეგ კი მწვრთნელები 6 მატჩსაც ვერ გასცდნენ, თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, გატუზოს გაწვრთნილ გუნდს უკვე 8 მატჩია არ წაუგია და ალეგრის მიღწევის გაუმჯობესებასაც კი უმიზნებს.

ლეგრიდან გატუზომდე მილანს წვრთნიდნენ: კლარენს ზეედორფი, ფილიპო ინძაგი, სინიშა მიჰაილოვიჩი და ვინჩენცო მონტელა.

შეგახსენებთ, რომ გატუზოს მილანი მომდევნო შეხვედრას 15 თებერვალს ევროპის ლიგაზე გამართავს და სტუმრად ლუდოგორეცთან შეეცდება აღნიშნული სერიის 9-მდე გაზრდას.

## იუვენტუსი გაგიჟდა — 250 მილიონი ჰარი კეინში




ვინც ტურინის იუვენტუსის სატრანსფერო პოლიტიკა კარგად იცის, ალბათ, ისიც კარგად აქვს გათავისებული, რომ იტალიური ფეხბურთის გრანდი არასდროს იხდის ფეხბურთელში ასტრონომიულ თანხას, თავად კი, პირიქით, სარფიანად ყიდის ფეხბურთელებს.

ამ დროს კი ესპანური და ინგლისური მედია ჰარი კეინსა და იუვენტუსზე აქტიურად ალაპარაკდა და, ცოტა არ იყოს, დაუჯერებელ სიახლეს გვამცნობს.

იუვენტუსის დირექტორთა საბჭო 250 მილიონი ევროს ინვესტიციას გეგმავს ფეხბურთელში, რომელიც, მათი აზრით, გუნდს კიდევ უფრო მიაახლოებს სუპერფეხბურთელების — მესის, ნეიმარის, რონალდუს კლუბებთან. არჩევანი კი, არც მეტი, არც ნაკლები, ტოტენჰემის 10-იანზე, ჰარი კეინზე გაკეთდა.

ეს წყაროები ამტკიცებენ, რომ თუ კეინი იუვეში მართლაც გადავა, მაშინ ბუფონი ფეხბურთიდან წასვლას ერთი წლით გადაიფიქრებს.

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

## ასტროპროგნოზი

### 14 თებერვალი



**ვერძი** — ცდუნებას ნუ აჰყვებით. ფინანსებს გაუფრთხილდით. ერიდეთ შორს გამგზავრებას. **კურო** — სურვილი გისრულდებათ. იაქტიურეთ. საღამოს დაისვენეთ მყუდრო გარემოში. **ტყუპები** — ჩანაფიქრს ნურავის გაუმხელთ, თორემ საქმე ჩაგეშლებათ. ახალგაცნობილი ადამიანებისგან თავი შორს დაიჭირეთ. **კირჩხიბი** — გეგმები თამამად შეიმუშავეთ. საქმიანი მოლაპარაკებები თქვენთვის სასურველი შედეგით დასრულდება. **ლომი** — ახალგაცნობილი ადამიანები გარკვეულ უსიამოვნებას შეგიქმნიან. ყურადღებას ნუ მოადუნებთ. **ქალწული** — კრიტიკული დღეა. ნებისმიერ სიტუაციაში წინდახედულობა გმართებთ. **სასწორი** — საქმიან პარტნიორებთან ურთიერთობისას სიფხიზლე გმართებთ. პატარა შეცდომაც კი სავალალო იქნება. **მორიელი** — საყვარელ ადამიანს გულს ნუ ატკენთ. თავქარიანობა და ფუქსავატობა საქმეს გაგიფუჭებთ. **მშვილდოსანი** — საქმე დიდი ყურადღებით აკეთეთ. გაითვალისწინეთ გარშემომყოფთა ინტერესებიც. **თხის რქა** — ინფორმაციის არასათანადო შეფასება ფინანსურ დანაკარგებს გამოიწვევს. იოლად არავის მიენდოთ. **მერწყული** — ახალგაცნობილ ადამიანებს გულისნადებს ნუ გაუმხელთ. იკვებეთ ჯანსაღად. **თევზები** — ფასეულობების გადაფასების დროა. ახალი იდეების განხორციელება მატერიალურ მდგომარეობას გაგიუმჯობესებთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. კურორტი რაჭაში; 2. ქვის ბოძებზე დადგმული ხის სახლი დასავლეთ საქართველოში; 3. ფრენის სიმაღლის საზომი ხელსაწყო; 4. სამხედრო იარაღის მწარმოებელი ქართული ფირმა; 5. უდიდესი ნეტარების მდგომარეობა ბუდისტური მოძღვრების მიხედვით; 8. ისტორიული ციხე-სიმაგრე თბილისში; 9. ლურჯი ფერის ძვირფასი ქვა; 10. პროფესიონალი მოცეკვავე ქალი ინდოეთში; 12. ბელორუსიის დედაქალაქი; 13. წყალსა და წებოში გაზავებული სახატავი საღებავი; 15. კანადის დედაქალაქი.

**თარაზულად:** 1. ქართული ხალხური საგმიროპატრიოტული სიმღერა; 6. ავსტრალიელი კინოვარსკვლავი ქალი; 7. ქართველი მათემატიკოსი, აკადემიკოსი; 10. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 11. ფლიდი, ფარისეველი ადამიანი; 13. პოპულარული ჰოლანდიური ყველი; 14. ფულის ერთეული ჩეხეთში; 16. ორნახშირმჟავა ნატრიუმის საყოფაცხოვრებო სახელწოდება; 17. ქართველი მევიოლინე ქალი. 18. იტალიელი მოდელიორი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*




## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ჰიპოლოგია; 2. მორთული; 3. ფოკუსი; 4. კრიჟი; 5. ალიევი; 11. ხუცესი; 12. დალაქი; 14. მწდე; 16. ორაგული; 17. თარხანი; 19. ლექსიკა; 21. თქორი; 22. ლაკმე.

**თარაზულად:** 6. სილიკოზი; 7. გურიელი; 8. ჟოკეი; 9. ალათაუ; 10. სესხი; 13. რიტმი; 15. როტვეილერი; 18. წირქოლი; 20. არვე; 21. თუნუქი; 23. დილოკაცია; 24. ნადური.

### კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. სოჭი; 2. ობი; 3. დეფინიცია; 4. ასაპი; 5. პალანგა; 8. პუფი; 9. რონალდუ; 10. ჰარისონი; 12. თმოგვი; 13. შაირი; 15. სმოგი.

**თარაზულად:** 1. სორენტო; 6. დეპრესია; 7. ჭუპრი; 10. ჰაიტი; 11. ოფურო; 13. შრატი; 14. ბასრა; 16. გეთი; 17. აპოკოპე; 18. ოსტიტი.

# სამგლოვიარო განცხადებები



## მანანა გაბუნიას

რაც დაიწყო ჩვენი სიყვარულის გზა, სხვადასხვა ღირსშესანიშნავ თარიღებთან ერთად, ჩვენ ყოველწლიურად განსაკუთრებულად აღვნიშნავდით წმინდა ვალენტინის დღეს.

როდესაც მოგვეცა საშუალება, თავისუფლად გვემოგზაურა საზღვარგარეთ, გადავწყვიტეთ, პირველი ვალენტინობის დღეს შეხვედროდით პარიზში, როგორც მსოფლიო სიყვარულის ქალაქში. დღევანდელ დღესავით მახსოვს პირველი ვალენტინობის დღესასწაულის აღნიშვნა პარიზში.

მოგზაურობა დავუკავშირეთ სიყვარულს. რამდენჯერმე ავედით მონმარტზე, პარიზის შეყვარებულთა მთაზე. ორი დღე ვათვალიერებდით პერლაშეზის სასაფლაოს, დიდხანს ვიდექით ედიტ პიაფის, ბალზაკის, სარა ბერნარის, მარია ვალევსკაიას, ივ მონტანის, გიომ აპოლინერის, სიმონა სინიორეს, შოპენისა და სხვა გამოჩენილი ადამიანების საფლავებთან, რომელთა დიდ სიყვარულზე ბევრი წაგვიკითხავს.

ყოველდღე დავდიოდით შანზელიზეზე მდებარე მსახიობთა რესტორანში, სადაც ძირითადად შეყვარებული წყვილები და მსახიობები დადიოდნენ. 14 თებერვალს, წმინდა ვალენტინის დღეს, რესტორნის წინ ვთხოვეთ გამვლელს, გადაეღო ჩვენთვის სურათი. ამ დროს ვიღაცა გადაგვეხვია, უკნიდან ჩაგვეხუტა და ნაცნობი ხმით მოგვმართა: „გამოგიჭირეთ“ შეყვარებულებო, შეყვარებულთა ქუჩაზე, ვერსად ვერ წახვალთ, ერთად უნდა ვიქეიფოთო. როცა შემოვტრიალდით, დავინახეთ ზურაბ წერეთელი გვეხვეოდა. უკან მოჰყვებოდა დიდი ამალა, რომლებსაც ჩვენი თავი ასე გააცნო: ესენი ჩემი მეგობრები არიან, საქართველოში ყველაზე შეყვარებული ცოლ-ქმარი (ასე გვიცნობდნენ ჩვენი თბილისელი მეგობრები), ალბათ, შეყვარებულთა დღეს ესენი ღმერთმა გამომიგზავნაო და შევედით რესტორანში, სადაც შესანიშნავი დღესასწაული მოეწყო, რომლის მთავარ გმირებად ჩვენ გამოგვაცხადა...

რაც შენ დამტოვე, მეორედ აღვნიშნავ ამ დღეს უშენოდ და სანამ ცოცხალი ვიქნები, მუდამ ასე იქნება, რადგან შენ დამრჩი მხოლოდ, შენ ერთი, სამარადჟამოდ ჩემს ტანჯულ სულში და არ ვიცი, როგორ ვიცხოვრო უშენოდ... დაცარიელდა სამყარო ჩემთვის.

ჩვენი სიყვარულის წუთების გახსენება ჩვენი შვილის, ირაკლის, შვილიშვილის მარგოტის უზომო სიყვარული და ყოველდღე შენს საფლავთან მოსვლა მაძლევს ძალას, კიდევ ცოტა ხანს ვიცოცხლო.

P.S. ჩემს დიდ სიყვარულს და ჩემს დიდ ტკივილს ეხმაურება ლექსი, რომელიც შენი ბავშვობის მეგობარმა ნატა დევიძემ მოგვიძღვნა დღეს:

უშენოდ, შენთან ერთად,
თენდება ღამე თეთრად.
უშენოდ, შენთან ერთად
ვითვლი წუთებს და წამებს.
უშენოდ, შენთან ერთად
ვებრძვი, ვამარცხებ სიკვდილს,
უშენოდ, შენთან ერთად
სუნთქვა მიჰყვება ქარეთს.
უშენოდ, შენთან ერთად,
გრძელდება რიცხვი დღეთა,
ცრემლი კაცური, მძიმე,
ეცემა სურათს, სახეს.
რა უცნაური ხვედრით
დავეხეტები ქვეყნად,
და მონატრებას შენსას
ვარქმევ უმძიმეს სახელს...

***დიდი სიყვარულით, შენი მეუღლე ნუგზარ ფიფია***

---

ძმა რამინ ძნელაძე, რძალი ნუნუ ვაჩეიშვილი, ძმისშვილები ლელა და ლაშა ძნელაძეები, სიძე კახა ცინცაძე იუწყებიან

## მურმან ძნელაძის

გარდაცვალებას.
ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული.
დაკრძალვა: შაბათს, 17 თებერვალს, ქ.სამტრედიაში.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# ქართველებმა ლას ვეგასის ფესტივალზე ყველაზე მეტი პრიზი მოიგეს

ლას-ვეგასში საერთაშორისო კონკურს-ფესტივალი „გოლდენ დრიმ“ (ოქროს ოცნება) გაიმართა. მასში სხვადასხვა ქვეყნის კონკურსანტები მონაწილეობდნენ. მთლიანობაში კონკურსში 150-მა კონკურსანტმა მიიღო მონაწილეობა ამერიკიდან, საქართველოდან, უკრაინიდან, ინდოეთიდან, სომხეთიდან, ყაზახეთიდან, რუსეთიდან და ბულგარეთიდან.

კონკურსანტებს შორის ყველაზე მეტი ჯილდო ჟიურიმ ქართველებს მიანიჭა. კონკურს-ფესტივალის უმაღლესი ჯილდო – გრანპრი, პირველი ადგილი და ნომინაცია „ანსამბლების“ პირველი ადგილი ქართველმა მომღერლებმა მოიპოვეს.




ფესტივალის გრანპრის მფლობელი ნომინაციაში ვოკალი გამარჯვებული თამარ ლილუაშვილი გახდა. ამავე ნომინაციაში კი პირველი ადგილი ტატა ხორგუაშვილს მიენიჭა.

ნომინაცია „ანსამბლების“ გამარჯვებული ანსამბლი „ერთსულოვნება“ გახდა. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკაში 12-ის ნაცვლად მხოლოდ 3 მომღერალი ჩავიდა, მათ მაინც შეძლეს თავისი პროფესიონალიზმით ჟიურის და ამერიკელი მსმენელის მონუსხვა და პირველი ადგილი დაიმსახურეს.

# ლაშა ბუღაძე: „ნახეთ „სტალინის სიკვდილი“

„დაცინვის პატივი“ – ასე უწოდებს თავის ჩანაწერს მწერალი და დრამატურგი ლაშა ბუღაძე და ბრიტანელების მიერ გადაღებულ ფილმს „სტალინის სიკვდილი“ აფასებს, რომელიც რუსეთში აკრძალეს.

**ლაშა ბუღაძე:**

– ანტიკურ საბერძნეთში დამატებითი დაცინვის ღირსი ხდებოდა ყველა პოლიტიკოსი, ვისაც სცენიდან დაცინვის პატივი ერგებოდა და მათ კი, შესაძლოა, წყენა გამოეხატათ რაიმე ფორმით.

მათ არ უნდა სწყენოდათ ისეთი საშინელი დაცინვაც კი, როგორიც კომედიის მამას, არისტოფანეს სჩვეოდა.

არისტოფანე ყველას და ყველაფერს დასცინოდა თავის უკვდავ და მუდმივად აქტუალურ კომედიებში – როგორც საზოგადოებრივ ავტორიტეტებს, მაგალითად, ფილოსოფოს სოკრატეს „ღრუბლებში“, ასევე ძლიერ პოლიტიკურ მოღვაწეებს, მაგალითად, ათენის უნიკალურ მმართველ პერიკლესს.

და აი, როგორც ერთი ჭორიკანა კაცი გვიყვება ძველი საბერძნეთიდან, სახელად ელიანე, პერიკლესი ვალდებულად თვლიდა თავს, რომ არისტოფანეს კომედიების წარმოდგენას დასწრებოდა და უდრტვინველად გადაეტანა მისი კრიტიკული ცინიზმი.

პერიკლესს არც სოკრატე ჩამორჩენია – როცა გაუგია, რომ არისტოფანე მას აბუჩად იგდებდა ახალ კომედიაში, თეატრში მისულა და ფეხზე მდგომს უყურებია თავისი გაშარჟებული სცენური ორეულისთვის.

ბერძნებმა კარგად იცოდნენ, თუ რა აუცილებელ და გამომაფხიზლებელ ენერგიას ატარებდა იუმორი, თუ რა მნიშვნელოვანი და საჭირო იყო ირონია საზოგადოებისთვის, რომელსაც შესაძლოა ზედმეტად სერიოზულად, რიგ შემთხვევებში კი, სახიფათოდ სერიოზულად, აღექვა როგორც საკუთარი თავი, ასევე დოგმად ქცეული ტრადიციები.

ამიტომ ბერძნებს არ სწყინდათ, როცა არისტოფანე მათ დასცინოდა.

მაგრამ ასე 25 საუკუნის წინ იყო...

რაც უფრო დასერიოზულდა კაცობრიობა, მით უფრო მეტად ვეღარ აიტანეს არისტოფანე.

ნაცისტებმა მისი „ლისისტრატე“ აკრძალეს, რადგან მათი აზრით, ეს პიესა სახიფათოდ პაციფისტური იყო, ხოლო აგრესიულმა კონსერვატორებმა მაკარტიზმის „კუდიანებზე ნადირობის“ დროს, საერთოდ, ქვეყნიდან გასაგდებ კომუნისტად მონათლეს საუკუნეების წინ გარდაცვლილი კომედიოგრაფოსი.

სტალინმა „ლიტერატურის ნაბიჭვრად“ მოიხსენია ირონიული ზოშჩენკო და მიუხედავად იმისა, რომ არ დაუხვრეტია, საბედისწერო ტაბუ დაადო მის პროფესიულ სტილსა და ბიოგრაფიას.

სამაგიეროდ, დახვრიტეს მიხეილ ჯავახიშვილი და მისი დაღუპვის ბოლო მიზეზი ნამდვილად არ ყოფილა ტრაგიკულად სატირული „ჯაყო“, „კვაჭი კვაჭანტირაძე“ ან თუნდაც მცირე ზომის „დამპატიჟე“.

თუ როგორ შეიძლება კომიკურად წარმოაჩინო სახიფათო სისტემა, ამის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითი 1940 წელს გადაღებული ჩაპლინის შედევრი „დიდი დიქტატორია“, სადაც ჰოფმანის ცახესისა და ჰიტლერის ნაზავი სასაცილო კაცი მსოფლიო ბატონობაზე ოცნებობს.

სწორედ ჩაპლინის „დიდი დიქტატორი“ გამახსენდა, როცა სულ ახლახან გადაღებული და უკვე სკანდალურად ქცეული სატირა „სტალინის სიკვდილი“ ვნახე კინოში. ამავე სახელწოდების კომიქსების მიხედვით შექმნილი შავი იუმორით გაჯერებული „მაღალი პაროდია“ კომიკურ სისხლისმსმელ კაცუნებზე, რომლებიც ძალაუფლებისთვის იბრძვიან პატივმოყვარე დესპოტის სიკვდილის შემდეგ.

მართალია, ფილმი სატირულად მოგვითხრობს 1953 წლის პერიპეტიებს, სტალინის ინსულტის და შემდეგ ბერიას მოკვდინების ისტორიულ ვერსიებს, მაგრამ, როგორც ჩანს, ფილმიდან საკმაოდ ბევრი რამ ამოიცნეს დღევანდელ კრემლში, რაკი ეს ფილმი ისტორიის დაცინვად მიიჩნიეს რუსეთის კულტურის სამინისტროში, რაც ფაქტობრივად მის აკრძალვად ჩათვლილა.



„სტალინის სიკვდილის“ ავტორებიც ისეთნაირ „ნაბიჭვრებად“ შეირაცხნენ, როგორებიც არისტოფანე, მოლიერი, ჩაპლინი, ზოშჩენკო თუ ჯავახიშვილი აღმოჩნდნენ სხვადასხვა სისტემის დიდი თუ მცირე ტირანებისთვის.

ლანძღვას კიდევ აიტანდნენ, მაგრამ დაცინვას ვერაფრით, რადგან, როგორც ისტორიიდანვეა ცნობილი, ავტორიტარიზმი სახეს კარგავს, როცა მას დასცინიან.

ზედმეტად ბევრი პარალელი ჩნდება „პატარა სისხლისმსმელ კაცუნებთან“, რომელთა სიმცირეს ნამდვილად არ უჩივის დღევანდელი მსოფლიო.

გირჩევთ, ნახოთ ეს ფილმი, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა ვინმეს უკმარისობის გრძნობაც კი გაუჩნდეს მცირე ისტორიული უზუსტობების გამო, თუმცა ზოგადად, და, რაც მთავარია, ჟანრიდან გამომდინარე, ფილმის ავტორები არცთუ შორს არიან სინამდვილისგან.

მთავარი „უზუსტობის“ კომპენსირებას კი, თქვენის ნებართვით, აქ შევეცდები: ჩემს ტექსტს მოცარტის ოცდამესამე საფორტეპიანო კონცერტის იმ ცნობილ შესრულებას დავურთავ, რომელიც სპეციალურად სტალინისთვის ჩაწერა ლეგენდარულმა პიანისტმა მარია იუდინამ. სწორედ ამ შესრულებას უსმენდა სტალინი თავის რადიოში, როცა სსრკ რადიოს ხელმძღვანელს ფირფიტის მიტანა უბრძანა კუნცევოს აგარაკზე, იმან კი იმის თქმა ვერ გაუბედა, რომ ბელადი ცოცხალ შესრულებას უსმენდა და არა ჩანაწერს, ამიტომ იმ ღამესვე, დიდი ნერვიულობით მოუხდათ მუსიკის ჩაწერა.

პიანისტი ნახევრად სალოსი იყო, რაც ფილმში არ ჩანს და ვეებერთელა ჯვრით, ფეხშიშველი გადიოდა სცენაზე, ჩეკისტები მას შეშლილად თვლიდნენ. ამ შესრულებისთვის სტალინმა მას 30 000 რუბლი გაუგზავნა, იმან კი მამხილებლური წერილით უპასუხა, სადაც სალოსებისათვის დამახასიათებელი ირონიით თუ მისტიკური სერიოზულობით აუწყა, რომ ამ ფულს ერთ-ერთ შორეულ მონასტერს შესწირავდა, რათა იქ მისი, სტალინის ცოდვილი სულისთვის ელოცათ.

არავინ იცის, მიუვიდა თუ არა ეს წერილი დიქტატორს, მაგრამ ფაქტია, მარია იუდინა არ დაუხვრეტიათ.

# ნიკოლოზ ცისკარიძემ ბალერინას კაბა და პუანტები მოირგო

ბალერონმა ნიკოლოზ ცისკარიძემ საბალეტო ხელოვნების მოყვარულები გააოცა, როცა ბალერინას კაბა და პუანტები მოირგო და დიმიტრი შოსტაკოვიჩის ერთ-ერთ ბალეტში ბალერინას პარტია იცეკვა.



ვიდეოს, რომელიც ინტერნეტში გავრცელდა, „ცისკარიძე ხუმრობს“ ეწოდება. ვიდეორგოლს ათასობით ნახვა და დადებითი კომენტარები აქვს.

საბალეტო ხელოვნების მოყვარულები ქართველი ბალერონისთვის კომპლიმენტებს არ იშურებენ და მას გენიალურს, ჯადოსნურს, ჰაეროვანსა და უნიჭიერესს უწოდებენ.

# თბილისში კიდევ ერთი ისტორიულ-კულტურული ძეგლი საფრთხეშია!

კოსტავას ქუჩაზე, ფილარმონიის წინ, ვერის ბაღთან მდებარე შენობას დანგრევა ემუქრება.

ინფორმაცია ამის შესახებ პარტიზანი მებაღეების წარმომადგენელმა ნატა ფერაძემ გაავრცელა:



– სოს კი არა და ისისი მოგვენატრება ამათ ხელში!

მორიგი ისტორიულ-კულტურული ძეგლი საფრთხეშია!!!

გამოშიგნულია უკვე მთლიანად. ფასადი, რომელიც პროექტის მიხედვით შენარჩუნებული უნდა იყოს, გამაგრების გარეშეა და ჰა და ჰა ჩამოიშლება!!!

თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური!!!

მოგვეცით გარანტია, რომ ფასადს 1 აგური არ ჩამოუვარდება!

# თამთა გოდუაძემ ახალი კლიპი გადაიღო

ქართველმა მომღერალმა თამთა გოდუაძემ, რომელიც ბერძნული ესტრადის ვარსკვლავია, ახალი კლიპი გადაიღო.



თამთას კლიპი ინტერნეტში უკვე გავრცელდა და ათასობით ნახვა და დადებითი კომენტარებიც აქვს. თამთა სიმღერას ბერძნულ ენაზე ასრულებს და ულამაზეს ვიდეორგოლში სხვადასხვა იმიჯი აქვს.

თამთა წლებია საბერძნეთში ცხოვრობს და მოღვაწეობს და ბერძნული ესტრადის კაშკაშა ვარსკვლავად ითვლება.

თამთა გოდუაძე ქართველმა საზოგადოებამ მას შემდეგ გაიცნო, რაც მომღერალი ქართული იქს ფაქტორის ხელმძღვანელებმა ჟიურიში მიიწვიეს.

***მოამზადა ეკა ირემაშვილმა***

# პროგრამა

**ოთხშაბათი 14 თებერვალი**

**05.15-06.50** სამთო-სათხილამურო. **05.30-07.10** სნოუბორდი .კაცები. **07.10** დოკ/ფ "იაოს წელიწადი" **08.45-10.25** სამთოსათხილამურო. ფინალი **10.00-10.50** სათხილამურო ორჭიდი. **10.50** მხ/ფ "**რკინის უილი**" (სათავგ. რეჟ. ჩ.ჰეიდი) **12.45-13.30** სათხილამურო ორჭიდი. **13.30-14.00** ოლიმპური გადაცემა. **14.00-15.30** ციგურებით სწრაფრბენა. ფინალი. **15.30** დოკ/ფ "ჩამოთვლილთაგან არც ერთი" **16.10-18.30** ჰოკეი. კაცები. **რუსეთი-სლოვაკეთი. 18.30** დოკ/ფ "გონების თამაშები" **19.00** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" **20.00** ტ/სერ. "**ელემენტარული**" **21.00** "მოამბე" **21.30** "აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად" **22.30** დოკ/ფ "თოფ-გიარი" **23.20-23.40** ჩემპიონთა ლიგის წინასამატჩო გადაცემა **23.40-01.40** ჩემპიონთა ლიგის პირველი მერვედფინალური მატჩი. **01.40** მხ/ფ "**მეცხრე რაიონი**" **03.20** ოლიმპიადა **07.05** დოკ/ფ "ჩამოთვლილთაგან არც ერთი"

**06.30, 19.03** სერ. "**დასაწყისი**" **07.30, 08.15, 09.20** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 04.40** ქრონიკა **10.15, 11.20** სერ. "**ელიფი**" **12.30** იმედის დღე **14.40** სერ. "**ტყუილი**" **16.00** სერ. "**ფული და სიყვარული**" **1** სერ. **17.45** სერ. "**ცოდვილი**" **21.00** სპორტი **21.08** ამინდი **21.10** სერ. "**ფავორიტი**" **22.00** პრაიმ შოუ **23.30** სერ. "**ღირსების საქმე**" **01.00** მხ/ფ "**შიმშილის თამაშები 2**" **03.20** მხ/ფ "**წითელი სიცხე**" **05.10** მხ/ფ "**შიმშილის თამაშები**"

**06.00, 18.50** სერ. "**მეორე შანსი**" **07.00, 20.40** სერ. "**დიდი ოჯახი**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**მფარველი ანგელოზი**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ბედის ანაბარა**" **15.40** სერ. "**მზიანი დღეები**" **22.00** ნანუკას შოუ **23.30** კომედი შოუ **00.30, 00.00, 01.00** მხ/ფ **01.30** კურიერის დაიჯესტი

**tv პირველი** **7.50** ან/ფ **8.00** საქმიანი დილა **11.00,** ქალების ნარატივი **12.00** სერ. "**რამონზე შეყვარებული**" **13.00, 17.00, 22.00** საინფორმაციო გამოშვება - NEWS **14.00, 16.00** ლევან ჩხაიძის დღის ამბები **15.00, 22.45,** საქმის კურსი **17.50, 0.00, 2.00, 4.00** მხ/ფ **20.00** პოლიტმეტრი **23.30** სერ. "**დამალული სიმართლე**"

**08.00** ან/ფ "ვარსკვლავური ომები **2**" **09.00** სერ. "**ერთხელ ზღაპარში 4**" **1-2-3** სერ. **12.00** სერ. "**საიდუმლო და ტყუილი**" **4** სერ. **13.00** სერ. "**კრიმინალური აზროვნება 10**" **17.00** სერ. "**ფარი-2**" **2-3** სერ. **19.00** სერ. "**ჯაშუში 4**" **21.00** სერ. "**საიდუმლო და ტყუილი**" **5** სერ. **22.30** სერ. "**ვიკინგები-3**" **6-7 00.30** მხ/ფ "**პირადი მცველი**" **02.30** მხ/ფ "**ანგელოზების ქალაქი**" **04.15** მხ/ფ "**მოსამსახურე**" **06.30** მხ/ფ "**ღამეები როდანში**"

**08.00** ანიმაცია **08.30** სერ. "**ბანდოლერა**" **10.40, 12.40, 20.55, 22.55** ტელემარკეტი **11.00, 13.00, 17.00, 19.00, 23.40, 00.00** ახალი ამბები **11.20** მე რომ ვიყო **11.30, 01.30** ბიზნესკოდი **13.30, 17.30** ახალი ამბები არჩილ გამზარდიასთან ერთად **14.30** ექიმის საათი **15.00, 04.20** მოდი გავეყაროთ **16.00, 02.20** ფაბრიკა **18.00** ანონსი **18.05** სერ. "**გაქცეულები**" **19.55** მე რომ ვიყო **20.00** თოქ-შოუ "თავისუფალი სივრცე " **21.00** სერ. " **სოლი 23.00** ინტერვიუ ვანიჩკასთან **3.20** თავისუფალი სივრცე

**08.00, 00.00, 02.10** საინფორმაციო დაიჯესტი **08.10** ანიმაცია **09.10** დ/ფ **10.00** სერ. "**ჩიტი გალიაში**" **10.50** "დილის ტალღა" (სიუჟეტები) **11.10, 20.00, 20.35** თოქ-შოუ "ჰეშთეგი" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** "მთავარი" **12.20** "მე ვარ ფერმერი" **13.00** დ/ფ **14.30** "პროექცია" **15.30** "რჩეული ფრაგმენტები" **15.40**"ბიბლიოთეკა" **16.15** მხ/ფ "**ვატერლოს ხიდი**" **18.30** "ბუნების კანონი" **19.10** სერ. "სინათლის სხივი" **20.30** ანონსი **20.45**"იყო და არა იყო რა" (საბავშვო გადაცემა) **21.40** "სცენა" **22.00** "კონტექსტი" **22.40** მხ/ფ "**მართვის გაკვეთილები**" **00.05** მხ/ფ "**დევიდ გეილის ცხოვრება**"

**06.10** დ/ფ"ველური ბუნება" **06.30** მხ/ფ "**დიდედები და შვილიშვილები**" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10** მხ/ფ "**ფატიმა**" **12.00** საეკლესიო კალენდარი **12.10** მხ/ფ "**ქვიშანი დარჩებიან**" **13.45** კონცერტი - კონსერვატორიის სტუდენტთა სიმფონიური ორკესტრი **15.05** მხ/ფ "**დიმიტრი**II" **17.15** კონცერტი - თანამედროვე მუსიკის ფესტივალი - გიორგი ლეგეტი **18.10** დ/ფ "უმორჩილესად გთხოვთ" **19.00, 22.00, 00.10** სიახლენი **19.25** "განთიადი" (გამ) **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** ძილი ნებისა **21.30** ეპოქის სახელები **22.25** ქართული ალბომი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დ/ფ "შორია გურჯისტანამდე" **00.00** საეკლესიო კალენდარი **00.35** მხ/ფ "**ოთარაანთ ქვრივი**" **01.50** კონცერტი - ევგენი კისინი **04.00** მხ/ფ "**მისი მსახურის და**" **05.25** დ/ფ "XX საუკუნის წმინდანები"

**მაესტრო** **10.00 - 23.00** მთავარი თემა (განმეორება ყოველ ერთ საათში) **10.30 - 3.00** ახალი ამბები (განმეორება ყოველ ერთ საათში)

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

14 თებერვლისთვის



აშშ დოლარი — 2.4488



ევრო — 3.0037



ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.3894



100 რუსული რუბლი — 4.2254

## ამინდის პროგნოზი 14 თებერვლისთვის





## 8 თებერვლიდან




ავთანდილ ბუხრაშვილი

# ვინ მოკლა ინსპექტორი

ქართული დეტექტივი
ტომი 6-7

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

## 13 თებერვლიდან

ჯონ სტაინბეკი

# კონსერვის რიგი




„კონსერვის რიგი“ დიდი ამერიკელი მწერლის – ჯონ სტაინბეკის ერთ-ერთი გამორჩეული რომანია. წიგნი 1945 წელს გამოიცა და ერთი ქუჩის ცხოვრებას აღწერს დიდი დეპრესიის პერიოდის კალიფორნიის ქალაქ მონტერეიში.

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი


## იუმორი



•••

სომხეთის რადიოს ეკითხებიან:

– დაგვისახელეთ სამი არსება, რომელთაც არასოდეს სცივათ?

– პინგვინი, თეთრი დათვი და სულელი მოდელი მოკლე კაბით!

•••

ექიმი პაციენტს მიმართავს:

– მოემზადეთ, ახლა თქვენთვის მეტად მტკივნეული იქნება.

– მზად ვარ, ექიმო.

– ათასი ლარი გაქვთ გადასახდელი!

– მმმმმ...

•••

მხატვარი შიშველ გოგონას ხატავს. შემდეგ გოგონას დასვენება შესთავაზა. გოგონამ ჩაიცვა, ყავა მოადუღეს სვამენ და ცხოვრებაზე საუბრობენ. ამ დროს კარზე ზარის ხმა გაისმა. მხატვარი წამოხტა და გოგონას ეუბნება:

– ვაიმე, ჩემი ცოლია, ჩქარა, გაიხადე.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


## 15 თებერვლიდან

იაკობ ჯუღაშვილი

# პაპაჩემი სტალინი




წიგნი წარმოადგენს სენსაციურ მემუარებს ბელადის შესახებ. იგი შუქს ჰფენს კრემლისა და ოჯახის ისეთ საიდუმლოებებს, რომლებიც აქამდე უცნობი იყო საზოგადოებისთვის.

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი




## 16 თებერვლიდან

შორენა ლებანიძე

# ეს მე ვარ, ფიროსმანი

რომანი დიდი ქართველი მხატვრის, ნიკო ფიროსმანის ცხოვრების თავისებურ ლიტერატურულ ვერსიას გვთავაზობს, რომელიც დოკუმენტურ მასალებზე, საარქივო წყაროებსა და თანამედროვეთა მიერ მოთხრობილ რეალურ ცნობებზეა დამყარებული.

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი


## ამერიკელმა თავის ლეკვზე თავდამსხმელ დათვს სცემა

ამერიკის მენის შტატის ქალაქ დედჰემში დათვი თავს დაესხა მამაკაცს, რომელიც ლეკვს ასეირნებდა.



29 წლის დასტინ გრეის თქმით, ის დათვს მაშინ გადაეყარა, როდესაც ტყეში თავის 11 თვის ლეკვს ასეირნებდა. მტაცებელი შინაურ ცხოველს მაშინ დაესხა თავს, როდესაც ის მოსაშარდად გაჩერდა.

ლეკვის პატრონი მამაკაცი, რომლის სიმაღლე 196 სანტიმეტრია, ამტკიცებს, რომ მტაცებელს მუშტები და ფეხები დაუშინა. დათვმა ის წააქცია, მაგრამ შემდეგ ისინი მიატოვა და ტყეს შეაფარა თავი.

ლეკვი ვეტერინარულ საავადმყოფოში მძიმე ჭრილობებით გადაიყვანეს, ხოლო მის პატრონს მხოლოდ მსუბუქი ჩალურჯებები და ნაკაწრები აღმოაჩნდა.

## ცოცხალი ტარაკნების გამტაცებლებს პატიმრობა ემუქრებათ

ამერიკის კალიფორნიის შტატის ქალაქ მარინაში ქურდებმა 500 ცოცხალი ტარაკანა გაიტაცეს. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

ენტომოლოგმა როზალინდა ვიზინამ ცოცხალი მწერები კვლევებისთვის შეუკვეთა, მაგრამ ბოროტმოქმედებმა მისი გზავნილი მოიპარეს. მათ ასევე გაქურდეს იმ კვარტალში მცხოვრებთა საფოსტო ყუთები.



– მე უბრალოდ მეცოდებიან ტარაკნები, თუ ისინი ფეხით გასრისეს, ან გადაყარეს, ან რაიმე ამის მსგავსი. მათ არ იცოდნენ, რა ელოდებათ, – განაცხადა ვიზინამ, – რაც შეეხება ქურდებს, იმედი მაქვს, ტარაკნები მათ გაექცნენ და მათ სახლს მოედევნენ.

თუ ტარაკნების ქურდებს დაიჭერენ, მათ ხუთ წლამდე პატიმრობა ემუქრებათ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## თორნიკე ოქრიაშვილი მოედანზე მალე დაბრუნდება



საქართველოს ნაკრებისა და კრასნოდარის ფორვარდი თორნიკე ოქრიაშვილი უკვე თავის გუნდთან ერთად ვარჯიშობს და, სავარაუდოდ, ერთ თვეში მას მოედანზეც ვიხილავთ. ოქრიაშვილის თქმით, ის მოუთმენლად ელის იმ მომენტს, როდესაც კვლავ შეძლებს ფეხბურთის თამაშს.

– თავს უკეთესად ვგრძნობ, თუმცა ჯერჯერობით სათამაშოდ მზად არ ვარ. ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ მოედანზე რაც შეიძლება მალე დავბრუნდე და ჩემი საყვარელი საქმე გავაკეთო, – განაცხადა თორნიკე ოქრიაშვილმა.

თორნიკეს უკვე დიდი ხანია, რაც ტრავმა აწუხებს და მას ერთი წელია, არ უთამაშია.

## ჰალ სიტის ფეხბურთელმა თავის ტრავმის გამო 26 წლის ასაკში კარიერა დაასრულა



ჰალ სიტის 26 წლის ნახევარმცველმა რაიან მეისონმა კარიერა ნაადრევად დაასრულა და ამის მიზეზი თავის ტრავმაა, რომელიც მეისონმა ერთი წლის წინ ჩელსის წინააღმდეგ შეხვედრაში მიიღო.

მეისონი საჰაერო ორთაბრძოლის დროს ჩელსის ცენტრალურ მცველ გარი კეჰილს თავით დაეჯახა და ამის გამო მან რამდენიმე კვირა საავადმყოფოში გაატარა.

მეისონის თქმით, მას სურდა ფეხბურთში დაბრუნება, მაგრამ ექიმების რჩევით კარიერის დასრულება გადაწყვიტა.

ჩელსიმ ამ ფაქტთან დაკავშირებით ოფიციალური განცხადება გააკეთა და მეისონს წარმატება უსურვა.

## უსმან დემბელეს ამჯერად გასტრიტი აწუხებს

ბარსელონის ფრანგმა ფეხბურთელმა უსმან დემბელემ გუნდის ვარჯიში გამოტოვა და ამის მიზეზი გასტრიტია, რომელიც დემბელეს რამდენიმე დღეა აწუხებს.

ბარსელონაში გადასვლის შემდეგ დემბელეს მუდმივად რაღაც აწუხებს და ბარსელონის გულშემატკივარი ამ ფაქტის გამო უკმაყოფილოა. უსმანმა ტრავმების გამო სეზონის დიდი ნაწილი გამოტოვა და ჯერჯერობით მან ბარსელონის შემადგენლობაში მხოლოდ რამდენიმე თამაშის ჩატარება მოახერხა და მის ანგარიშზე არცერთი გატანილი გოლი არ არის. დემბელეს ტრანსფერში ბარსელონამ 120 მილიონი ევრო გადაიხადა.



## ალექსანდრ ლაკაზეტი ერთ თვეზე მეტს გამოტოვებს

არსენალის ფორვარდმა ალექსანდრ ლაკაზეტმა მუხლის ტრავმა მიიღო, რის გამოც ის ერთი თვის განმავლობაში ან უფრო მეტ ხანს იუქმებს. ლაკაზეტის ტრავმა შესაძლოა უფრო სერიოზულიც ყოფილიყო, მაგრამ გამოკვლევის შემდეგ დადგინდა, რომ ფრანგი ფორვარდი მაქსიმუმ თვე-ნახევარს გამოტოვებს.

ლაკაზეტი არსენალს წლევანდელ სეზონში შეუერთდა და მან უკვე მოახერხა ძირითად შემადგენლობაში ადგილის დამკვიდრება, თუმცა ლაკაზეტს კრიტიკოსებიც ბლომად ჰყავს, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ის არსენალის დონეს ვერ აკმაყოფილებს.



## ჯასტინ კლუივერტი ინგლისში თამაშზე ოცნებობს

ლეგენდარული ჰოლანდიელი ფეხბურთელის, პატრიკ კლუივერტის, შვილი, ჯასტინი, ინგლისში თამაშზე ოცნებობს.

კლუივერტის აზრით, პრემიერ ლიგა მსოფლიოში საუკეთესო ჩემპიონატია და იქ მხოლოდ მაღალი დონის ფეხბურთელები თამაშობენ:

– რთულია იმის თქმა, თუ სად გავაგრძელებ კარიერას, მაგრამ ინგლისში თამაში ძალიან მინდა და იმედი მაქვს, რომ ინგლისური კლუბები ჩემით დაინტერესდებიან. ესპანეთის ჩემპიონატიც მიმზიდველია.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. თანამედროვე ქართველი თეატრალური მხატვარი; 2. ლუდის მწარმოებელი ქართული ფირმა; 3. ცეცხლსასროლი იარაღის მწარმოებელი იტალიური ფირმა; 4. სატანვარჯიშო იარაღი; 5. იახტების, ნავების სადგომი ნავსადგურში; 11. ძველ რომაელთა ტანსაცმელი; 12. ტვირთების სათავსო გემზე; 14. პროვინციის მმართველი თურქეთში; 16. შუა საუკუნეების ქართველი ხატმწერი, ოქრომჭედელი; 17. კოლუმბიელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 19. რუსეთში მოღვაწე ქართველი კინორეჟისორი; 21. აეროპორტი სინგაპურში; 22. ბრინჯისგან მომზადებული აღმოსავლური კერძი.

**თარაზულად:** 6. ერეტიკოსთა და მათი თხზულებების დაწვა ინკვიზიციის განაჩენით; 7. თხზულება „აბდულმესიანის“ ავტორი; 8. საქართველოს ყველაზე წყალუხვი მდინარე; 9. ქართველი კარდიოლოგი ქალი, აკადემიკოსი; 10. საკონდიტრო ნაწარმი; 13. ძაფზე ასხმული სამკაული; 15. ცხენზე მოჯირითე აკრობატი ცირკში; 18. ებრაელთა რელიგიური, საყოფაცხოვრებო და სამართლის კანონების კრებული; 20. მიწის ფართობის საზომი ერთეული აშშ-ში; 21. იუნესკოს კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი სვანური სოფელი; 23. მანათობელი მწერი; 24. ჯაზის იმპროვიზაციული სტილი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

